



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

4. 1989




საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და  
სამართლის  
სერია

СЕРИЯ  
ЭКОНОМИКИ И  
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს  
Журнал основан в 1980 году  
გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Выходит раз в 3 месяца



4. 1989

გამომცემლობა „მეცნიერება“  
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი  
ТБИЛИСИ



**სარედაქციო კოლეგია:** ა. გუნია (რედაქტორი) ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, გ. თოღუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Гунья А. Л. (редактор), Гамквелидзе О. К., Гвелесиани М. И., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надареишвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н., (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,  
ეკონომიკის და სამართლის სერია, 1989 № 4.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

---

გადაეცა წარმოებას 19. 10. 89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 01. 92; შეკვ. № 2776;  
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 8. 75;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6, 99; საღ-გატარება 9, 45; შპ 03502; ტირაჟი 750  
ფასი 85 კაპ.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

\*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

ი. რუხინუბიანი, ე. ჟორდანია, მეურნეობრიობის ახალ პირობებში მეცნიერების და წარმოების ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციული ფორმების განვითარება საქართველოს სსრ-ში	5
ლ. დუნდუა, ბ. ლავკილავა, კაპიტალური მშენებლობის მართვის სისტემისა და ეკონომიკური მეურნეობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი	12
ა. უშვარიძე, რეგიონის ეკონომიკაზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედების ანალიზი და იმიტაციური მოდელირება	20
შ. ნათენაძე, სამეურნეო ანგარიში სოციალიზმის განვითარების თანამედროვე ეტაპზე	24
ძ. წიკლაური, ახალციხის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა განვითარების ეკონომიკური დონე	33
ი. ავაჯავიძი, პარამეტრების მოწესრიგების ერთი მეთოდის შესახებ	40
ნ. შიოლაშვილი, ვაზის სანერგე მეურნეობის განვითარება საქართველოს სსრ-ში (1973—1985 წწ.)	45
ზ. ალექსიანი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხები	50
მ. ცუცქერიძე, წარმოების სისტემების რიტმული ფუნქციონირების ფაქტორული ანალიზის სრულყოფისათვის	57
დ. ცაგვანიძე, კონსტრუქციული მასალების გამოყენება მშენებლობაში	64

სამართალი

ბ. ნადარეიშვილი, ბ. ჯიქია, სამართლის ისტორია და დღევანდლობა	70
ო. მელქაძე, მართვისა და კონტროლის კოორდინაციის პრობლემისათვის	81
ნ. თოდუა, სასჯელის განსაზღვრა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის	89
რ. რადუვა, ბრალდებულის დაცვის უფლება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის წარმოებაში	97

ინფორმაცია, რეცენზია, ქრონიკა

ლია წერილი ლ. იაროშენკოს	104
რ. ჟორდანიძე, საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების სათავეებთან	107
ბ. ხახვაძე, ერთი რუსული დემოგრაფიული ტერმინის ქართული შესატყვისის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში	113
	116.

საქ. სსრ კ. შარქის  
 საბ. საბ. რესპუბ.  
 ენციკლოპედია

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИКА

И. М. Рубинштейн, Е. Ш. Жордания, Развитие региональных организационных форм интеграции науки и производства в Грузинской ССР, в новых условиях хозяйствования . . . . .	5
Л. К. Дундуа, Б. Б. Лагвилава, Некоторые вопросы совершенствования системы управления и экономического механизма в капитальном строительстве	12
А. И. Ушверидзе, Имитационное моделирование и анализ влияния научно-технического прогресса на экономику региона . . . . .	20
Ш. П. Натенадзе, Хозяйственный расчет на современном этапе развития социализма . . . . .	24
К. М. Циклаури, Развитие экономического уровня общественного хозяйства Ахалцихского района . . . . .	33
Э. Н. Авазашвили, Об одном методе упорядочения параметров . . . . .	40
Н. Ш. Шиолашвили, Развитие питомникового хозяйства виноградной лозы в Грузии (1973—1985 гг.) . . . . .	45
З. С. Алексян, Научно-технический прогресс и заработная плата в новых условиях хозяйствования . . . . .	50
М. В. Цуцкиридзе, О совершенствовании факторного анализа ритмического функционирования производственных систем . . . . .	57
Д. Г. Церивадзе, Методы планирования и прогнозирования применения конструктивных материалов в строительстве . . . . .	64

### ПРАВО

Г. Н. Надагенишвили, Б. И. Зондзе, История права и современность . . . . .	70
О. В. Мелкадзе, О проблеме координации в управлении и контроле . . . . .	81
Н. В. Тодуа, Определение наказания за совершения преступления в состоянии ослыпания . . . . .	89
Р. Радева, Право обвиняемого на защиту в уголовном производстве народной республики Болгарии . . . . .	97

### ИНФОРМАЦИЯ, РЕЦЕНЗИЯ, ХРОНИКА

Открытое письмо тов. Ярошенко Л. Д. . . . .	101
Р. И. Кочорадзе, У истоков советской экономической науки . . . . .	107
А. Ш. Сахвадзе, О грузинском переводе одного русского демографического термина . . . . .	113
В Академии наук ГССР . . . . .	116

## ილია რუხიშვილი, ელენე ჟორდანიანი

მიწრნეობრიობის ახალ პირობებში მცნიერების და წარმოების  
ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციული ფორმების  
ბანვიტარება საქართველოს სსრ-ში

საქართველოს სსრ-ში ეკონომიკის გარდაქმნა მისი სუვერენული უფლებების, თვითმმართველობის და თვითდაფინანსების გაფართოების საფუძველზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სფეროში, ახალი სამეურნეო მექანიზმის შექმნას მოითხოვს.

მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე დაფუძნებული ახალი სამეურნეო მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მეცნიერებასა და წარმოებას, მომხმარებელთა და მომწოდებელთა, ძირითადი რგოლისა და ადგილობრივ ორგანოებს შორის, საწარმოებსა და სახელმწიფოს საფინანსო საკრედიტო სისტემის შორის კავშირის ფართო განვითარებას.

შესაძლებელია გამოიყოს რეგიონში მეცნიერების წარმოებასთან შეერთების სამი მიმართულება: 1) რეგიონის სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები ნერგავენ თავის დამუშავებებს სხვა რეგიონის საწარმოებსა და გაერთიანებებში; 2) რეგიონის გაერთიანებები და წარმოებები ითვისებენ სხვა რეგიონის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების ორგანიზაციების დამუშავებებს; 3) რეგიონის სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები დაკავშირებული არიან თავისივე რეგიონის გაერთიანებებთან. პირველი ორი მიმართულება განხორციელებული იქნება იმ ორგანიზაციულ ფორმებში, რომლებიც ტიპურია სახალხო მეურნეობის დარგებისათვის და პირველ რიგში მრეწველობისათვის. მესამე მიმართულება განხორციელებული იქნება დარგობრივთან და რეგიონალურ ორგანიზაციულ ფორმებთან ერთად.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამეცნიერო-კოლექტივების უშუალო მონაწილეობა ციკლის — „სამეცნიერო კვლევა, დამუშავება, გასაღება, მომსახურება“ სამუშაოებში.

მეცნიერების და წარმოების ინტეგრაციის გავრცელებულ ფორმას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები წარმოადგენს.

1987 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 11 სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, როგორც მრეწველობაში, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. მრეწველობაში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების 2/3 მეტი საკავშირო სამინისტროებს ექვემდებარება. მათი საქმიანობა დარგობრივ პრობლემებისკენაა მიმართული და სრულებით არ უწყობს ხელს რესპუბლიკაში და მის რეგიონებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. საცდელ-ექსპერიმენტული და განსაკუთრებით საწარმოო ბაზის სისტემებში ამუხრუჭებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების ფუნქციონირების ეფექტურობას და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებში დამუშავებული ახალი

ნაწარმის სერიულ გამოშვებას. არასაკმარისადაა განვითარებული დანერგვითი ქვედანაყოფები.

ამიტომ, აუცილებლობას წარმოადგენს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების სტრუქტურის სრულყოფა, რომლებიც დარგთაშორისი და დარგობრივი პრობლემების გადასაწყვეტად უნდა იყოს მიმართული, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ძირითადი სპეციალიზაციის გათვალისწინებით.

რესპუბლიკაში შეიძლება დაჩქარებული იქნეს არა მარტო დარგობრივი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების შექმნის პროცესი, არამედ რეგიონალური სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრებისაც. რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო კომპლექსი აპირებს სამეცნიერო-ტექნიკური ერთიანი რეგიონალური პოლიტიკის ჩატარებას, რომლის განხორციელებაც მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო-საწარმოო დონის ასამაღლებლად, ისეთი სპეციფიკური წარმოების დარგებისათვის, როგორცაა: კვების და მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობაში — ჩაის წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, მესაქონლეობა. ამ პრობლემების გადასაწყვეტად, აგრეთვე, სამთო მიწათმოქმედებისათვის ტექნიკის, სოფლის მეურნეობისათვის მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და ტურინზის, სპორტისა და საკურორტო მშენებლობის განვითარებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. აკად. ა. გუნიას მიერ შემუშავებულია წინადადებები, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებების, სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციებისა და საწარმოების, მანქანათმშენებლობის კომპლექსის ბაზაზე სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის შექმნის შესახებ. ასეთი ცენტრის ამოცანად უნდა გახდეს ახალი ტექნიკის შექმნა და ამ ტექნიკით რესპუბლიკისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა რეგიონების შესაბამისი დარგების აღჭურვა<sup>1</sup>.

ბოლო ოცი წლის მანძილზე მართვის რეგიონალური დონე უმცირეს გავლენას ახდენდა რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე. ამის ახსნა მთელი რიგი მიზეზებითაა შესაძლებელი. ახალი ტექნიკის შექმნის და გავრცელების საკითხებში უფლებების გადაჭარბებული ცენტრალიზაციით, რესპუბლიკის რეგიონებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების რეგიონალური ფაქტორების აქტიუზაციის წინადადებების შემუშავებელი ქვედანაყოფების უქონლობა, სამეცნიერო დაწესებულებების საცდელ-საწარმოო ბაზის განვითარების დაბალი დონე, რეგიონალური ორგანოების მატერიალური პასუხისმგებლობის დაბალი დონე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებაში. რესპუბლიკაში მეცნიერების და წარმოების ურთიერთკავშირის ფორმების ფუნქციონირების უმრავლესობა საზოგადოებრივ საწყისებზეა აგებული. წარმოებებთან ურთიერთკავშირის ინიციატივა უმრავლეს შემთხვევაში სამეცნიერო დაწესებულებებს ეკუთვნით. მეცნიერების და წარმოების ურთიერთკავშირის ფორმების რეალიზაციის შედეგს ცალკეულ საწარმოებში უპირატესად ერთეული ნიმუშების დანერგვა წარმოადგენს. არასაკმარისად გამოიყენება სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობის ეფექტურობის რეგიონალური რეზერვები. საწარმოებში სიახლის დანერგვის მთავარ წინაღმდეგობას წარმოადგენს საუწყებო ბარიერები და საწარმოების ეკონომიკური დაუინტერესებლობა დარგთაშორისი ხასიათის მნიშვნელოვანი დამუშავების დანერგვაში. დარგობრივი მართვის პირობებში საწარ-

<sup>1</sup> Гуния А. Л., Единство интересов, «Заря Востока», 10 ноября, 1987.

მოთა სიახლის დანერგვა გართულებულია, ახალი დამუშავების რაოდენობის, მათი გეგმური და ფაქტიური ეფექტურობის, ქვეყნის რეგიონებსა და უწყებების მიხედვით მათი განაწილების არასაკმარისი ინფორმაციის გამო.

რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არსებობს დარგთაშორის და უწყებათაშორის საფუძველზე მეცნიერების და წარმოების ეკონომიკური და ორგანიზაციული კავშირის ახალი ფორმები: რეგიონალური სამეცნიერო ცენტრები, სასწავლო — სამეცნიერო — საწარმოო გაერთიანებები, აკადემიური და დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური, სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, საინჟინრო ცენტრები, დარგთაშორისი მიზნობრივი სამეცნიერო — საწარმოო გაერთიანებები, სამეურნეო ანგარიშიანი დანერგვითი ორგანიზაციები და კოოპერატივები, არასაკმარისად განვითარდა დროებითი შემოქმედებითი კოლექტივები. განვითარებას ჩამორჩა და არსებობს მხარდაჭერას მოითხოვს საქართველოს სსრ მეცნიერებისა და სამეცნიერო მომსახურების საცდელ ექსპერიმენტული ბაზა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საერთო რაოდენობიდან 1985 წელს საცდელ საწარმოო ბაზა ჰქონდათ 29,7%. რესპუბლიკაში დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოითხოვს განმტკიცებას. 19 უმაღლესი სასწავლებლიდან მხოლოდ 3-ს გააჩნია საცდელ-საწარმოო ბაზა. 1985 წელს უმაღლესი სასწავლებლების წილზე მოდიოდა საცდელ ექსპერიმენტული საწარმოების 10% და ამ საწარმოების მომუშავეების 9%. განსაკუთრებითაა ჩამორჩენილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების საცდელ-საწარმოო ბაზები. 1985 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების წილზე სამეცნიერო-დაწესებულებების საცდელ-საწარმოო ბაზების დაახლოებით 8% და ამ ბაზებში მომუშავეთა 3,5% მოდიოდა<sup>2</sup>. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების ძირითადი ფონდების ცვეთის კოეფიციენტი წარმოადგენს დაახლოებით 38%-ს, ხოლო მანქანების და მოწყობილობების ცვეთის კოეფიციენტი 52%-ს.

ამრიგად, რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროს ორგანიზაციების უმეტესი ნაწილი, თავისი მცირე ზომების შედეგად, პრაქტიკულად მოკლებულია საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის შექმნას, რის გამოც ძნელია დანერგვითი ხასიათის ამოცანების გადაჭრა. ამიტომ, საკუთარი საცდელ-ექსპერიმენტული ბაზის განმტკიცებით საჭიროა რესპუბლიკის მეცნიერების ყველა სექტორის საცდელი ბაზის რეგიონალური კოოპერაციის განვითარება, სამეურნეო-ანგარიშიანი ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე, რომელიც აგებული იქნება მოგების განაწილებაში მონაწილეობის პრინციპზე<sup>3</sup>.

მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სფეროში, ჩვენი აზრით, საჭიროა შეიქმნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული მსხვილი დარგთაშორისი დამუშავებების სამსახური, რომელიც რესპუბლიკის საწარმოო

<sup>2</sup> საქართველოს სსრ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსის განვითარების ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, „მეცნიერება“, გვ. 62-63.

<sup>3</sup> См.: Кобахидзе А. Д. Развитие хозяйственных отношений академической науки с производством (на примере ГССР), Автореферат диссертации на соискание уч. степени, к. э. н. Тбилиси, 1988, с 9, 15.



ძალეების განვითარების რეგიონალურ თავისებურებებს გაითვალისწინებს. ეს სამსახური უნდა განაგებდეს საშუალებების გარკვეულ ნაწილს (პროცენტს). რომლებიც მეცნიერების განვითარებისათვის, წარმოებაში მათი მიღწევების დასანერგად იქნება გამოყოფილი სამინისტროებისა<sup>4</sup> და უწყებების მიერ.

მნიშვნელოვანი და ეფექტური დამუშავების შესარჩევად მიზანშეწონილია შეიქმნას გამოთვლითი ცენტრის ბაზაზე ახალი მონაცემების რესპუბლიკური ბანკი.

აუცილებლობას წარმოადგენს რესპუბლიკაში ჩატარებული სამეცნიერო კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების რეგიონალური მიმართულებების გაძლიერება. საჭიროა სამეცნიერო კვლევების დამუშავების მიზნობრივი დაფინანსების პრაქტიკის შემოღება, რომელიც საკონკურსო შერჩევის საფუძველზე, რესპუბლიკური და რეგიონალური (საქალაქო, რაიონული) შეკვეთების გზით რესპუბლიკის და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის იქნება გათვალისწინებული. ამისათვის რესპუბლიკის გადასვლა თვითდაფინანსებაზე და თვითმმართველობაზე შექმნის შესაბამის პირობებს. ახლანდელ პირობებში მეცნიერების და წარმოების ტერიტორიული ურთიერთქმედების კოორდინაციული ფორმა, დამყარებული სხვადასხვა საუწყებო დაქვემდებარების სამეცნიერო ძალების ინტეგრაციაზე, სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრებს წარმოადგენს.

რესპუბლიკის რეგიონების მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფის კომპლექსური განვითარების აუცილებლობიდან გამომდინარე და საქართველოს სსრ საწარმოო ძალების 2005 წლამდე განვითარების და გადაადგილების სქემასთან დაკავშირებით წამოყენებულია წინადადება საქართველოს სსრ ქალაქებში და რეგიონებში რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების ქსელის შექმნის შესახებ<sup>4</sup>.

სამეცნიერო ცენტრები შეიძლება ორგანიზებული იქნეს ქ. ქუთაისში, ქ. ბათუმში (აჭარის ასსრ), ქ. სოხუმში (აფხაზეთის ასსრ), ქ. ცხინვალში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიული ოლქი) სამეცნიერო ქვეგანყოფილების (ლაბორატორიების) აკადემიური ინსტიტუტების, დარგობრივი სამეცნიერო ორგანიზაციების, რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე, რეგიონის საწარმო-ეკონომიკური პროფილის შესაბამისად. ეს დაკავშირებს სამეცნიერო საქმიანობის დარგთაშორის კოორდინაციას რეგიონის მეცნიერულ-ტექნიკური მიზნობრივი პრობლემების გადაწყვეტასთან.

რეგიონალური სამეცნიერო ცენტრები შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე ვერ გადაწყვეტენ ბევრ პრობლემას, რომლებიც სამეცნიერო ძალების საუწყებო გათიშვასთან არის დაკავშირებული. გარკვეული სიძნელეები წარმოიქმნება საძიებელი სამუშაოების დაფინანსების, დარგთაშორისი ხასიათის პრობლემებისა და რეგიონის საწარმოო ძალების განვითარების კომპლექსურ კვლევასთან დაკავშირებით. სამეცნიერო ცენტრების მუშაობა აგებული უნდა იყოს მართვის ეკონომიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე. ამ მიზნით რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრებში მიზანშეწონი-

<sup>4</sup> აკად. აგუნიას წინადადებები.

<sup>5</sup> 1983 წ. ნოემბრიდან ქ. ქუთაისში ფუნქციონირებს საქართველოს სსრ მეტალურგიის ინსტიტუტის ქუთაისის სამეცნიერო კომპლექსური ცენტრი.

ლია შეიქმნას საშუალებათა რეზერვი ასიგნაციის ნაწილის მართვის გადაცემის გზით, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიუჯეტიდან საკონკურსო საფუძველზე, ტერიტორიალური პრობლემების დარგთაშორისი ხასიათის მნიშვნელოვანი კვლევების და რეგიონალური სამეცნიერო პროგრამების დაფინანსებისათვის არის გამოყოფილი.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში, რესპუბლიკის შიგნით სამეცნიერო-საწარმოო კავშირი არსებითად უნდა გაძლიერდეს. ამაში დაინტერესებული უნდა იყვნენ როგორც რესპუბლიკის მართვის ორგანოები, ისე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოები და ორგანიზაციები. მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობა წარმოქმნის აუცილებელ პირობებს იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო საქრობებთან არის დაკავშირებული.

რესპუბლიკაში და ცალკეულ მის რეგიონებში არ განვითარდა ის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც აერთიანებდნენ აკადემიურ, დარგობრივ, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებასა და წარმოებას. აუცილებლობას წარმოადგენს ტერიტორიული სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებების შექმნა, რომლებიც ტერიტორიული დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების პიონერული გადაწყვეტისათვის უნდა იყოს ფორმირებული. ამ გაერთიანებების ფორმები საკმაოდ მოქნილი უნდა იყოს. საქართველოს აკადემიური მეცნიერების ექსპერიმენტალური და საწარმოო ბაზის სისუსტის გათვალისწინებით, აკადემიური სამეცნიერო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, დარგობრივი და საქარხნო სექტორების კომპერაციულ ეფექტურ ორგანიზაციულ ფორმებად შეიძლება ჩაითვალოს სახელმეკრულებო საფუძველზე მყოფი ღრობით მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებები<sup>6</sup>. ასეთ გაერთიანებებს რეგიონალური აკადემიური ცენტრების ბაზაზე შეუძლიათ ფუნქციონირება.

შემოთავაზებულია რეგიონში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სამუშაოები რეგიონალური სამეცნიერო ცენტრების მონაწილეობის შემდეგი თანამიმდევრობა. საქართველოს სსრ სამეცნიერო ცენტრები პირველ ეტაპზე განსაზღვრავენ რეგიონალური პროგრამების დასამუშავებელ ნუსხას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საბჭოსთან (კომისიასთან) ამ მასალების შეთანხმების შემდეგ მუშავდება პროექტი, რომელიც განიხილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, დამტკიცდება რეგიონის სახალხო დეპუტატების საბჭოზე და გადაეცემა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების ხუთწლიან და ერთწლიან გეგმაში ჩასართავად. რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრებთან მიზანშეწონილია შეიქმნას სამეურნეო-ანგარიშიანი საკონსულტაციო, საშუაშეგრო ფორმები, სადაც ორგანიზაციები შეძლებენ კვალიფიციური კონსულტაციის მიღებას გარკვეული საკითხების გარშემო და საწარმოებში მოცემული ფორმების თანამშრომლობით სიახლის დანერგვის განხორციელებას. დანერგვითი სამეურნეო-ანგარიშიანი

<sup>6</sup> წინადადებანი ღრობით მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანებების, მათი სტრუქტურის და ფუნქციების შესახებ შემუშავებულია ა. კობახიძის მიერ. იხ. К о б а ხ ი ძ ე А. Д. Развитие 'хоzрасчетных' отношений академической науки с производством (на примере ГССР). Диссертация на соискание ученой степени, к. э. н. Ин-т экономики и права АН ГССР, Тбилиси, 1988.



ქსელის შექმნა ხელს შეუწყობს კვლევებისა და დამუშავებისაგან მაქსიმალური უკუგების მიღებას, აგრეთვე სიახლის ეფექტურობის შეფასების უფრო ობიექტური კრიტერიუმების დახმარებით მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სრულყოფამდე მიყვანას. დანერგვის სფეროში მომუშავეთა სპეციალიზაცია ხელს შეუწყობს შრომის მწარმოებლურობის ამაღლების და მისგან ეკონომიკური ეფექტის გაზრდას სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში. ერთიანი პოზიციიდან სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეკონომიკური ეფექტურობის ინფორმაციის ანალიზი მათგან უფრო მნიშვნელოვანი სამუშაოების წარმოებაში სწრაფი და ფართო დანერგვის საშუალებას მოგვცემს.

ბოლო წლებში სოციალისტურ ქვეყნებში ფართოდ იყენებდნენ სპეციალიზებული დანერგვითი ორგანიზაციების მომსახურებას, რომელიც ჩვენთან საინჟინრო ცენტრების სახელითაა ცნობილი. საინჟინრო ცენტრები შეისწავლიან სახალხო მეურნეობაში დამუშავების მოთხოვნას. განსაზღვრავენ მათი გამოყენების რაციონალურ სფეროს, აწარმოებენ ერთეული ნიმუშებისა და პროდუქციის ახალი სახის პირველი სერიების დამზადების ორგანიზაციას, ამზადებენ წინადადებებს ახალი ტექნიკის სერიული წარმოებისათვის, მწარმოებლებს აცნობენ პროგრესულ ტექნოლოგიას. ისინი აწარმოებენ აგრეთვე კვალიფიკური სპეციალისტების მომზადებას, უწყვენ სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას საწარმოო გაერთიანებებს სიახლის დანერგვისა და ექსპლუატაციაში. საინჟინრო ცენტრებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის საქმეში. მათი ფორმირება შეიძლება როგორც წარმოებაში, ისე სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში. საინჟინრო ცენტრების შექმნის აუცილებლობა სამეცნიერო-საწარმოო პრობლემების დამუშავების ხასიათით უნდა იყოს განპირობებული<sup>7</sup>. აკად. ა. გუნიას წინადადების შესაბამისად საინჟინრო ცენტრები მიზანშეწონილია გვექონდეს რესპუბლიკის მრეწველობის მსხვილ საწარმოებში, როგორცაა რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, გაერთიანება „ჩარხმშენებელი“, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, მადნეულის სპილენძის კომბინატი, ოზურგეთის ჩაის ფაბრიკა, გურჯაანის ღვინის ქარხანა და სხვ. შესაბამისი წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემების დამამუშავებელი საინჟინრო ცენტრები, მეცნიერების და წარმოების — მოცემული სფეროს წარმომადგენლებიდან უნდა ფორმირდებოდეს. რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრებთან ერთად საინჟინრო ცენტრების წარმოქმნა ხელს უნდა უწყობდეს რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების საკავშირო სამინისტროების დაქვემდებარების საწარმოებთან (გაერთიანებებთან) შემოქმედებითი კავშირების მნიშვნელოვან განმტკიცებას.

მოკლევადიანი ამოცანების გადასაწყვეტად შეიძლება გამოვიყენოთ დროებითი სამეცნიერო კოლექტივები. ამ კოლექტივების საქმიანობა ხორციელდება აკადემიური სამეცნიერო დაწესებულებების სამეცნიერო-მეთო-

<sup>7</sup> Колесов А. С. Управление наукой в регионе: вопросы теории и практики, Л., «Наука», № 10, 1988, с. 121.

<sup>8</sup> Гуния А. Л., Лилуашвили Т. А. О некоторых вопросах совершенствования управления экономикой в ГССР в свете постановления июльского (1987 г.) Пленума ЦК КПСС — научный доклад, Тбилиси, 1988 г.

დური ხელმძღვანელობის ქვეშ. მათში შედიან აკადემიური, დარგობრივი სამეცნიერო დაწესებულებების და სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები. მოქნილი ორგანიზაციული სისტემით შექმნილი დროებითი სამეცნიერო კოლექტივები, რომლებშიც პრობლემაზე მომუშავე მკვლევარებს — იდეის ავტორთა საწყის ჯგუფებში შევლენ ტექნოლოგთა, კონსტრუქტორთა, მწარმოებელთა ჯგუფებიც, ხელს შეუწყობს დროებითი სამეცნიერო კოლექტივების ეფექტურ ორგანიზაციას სამეცნიერო საქმიანობის საბოლოო შედეგების მისაღებად.

დროებითი დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კოლექტივები მუშაობის მანძილზე ხდებიან მთელ რიგ სიძნელეებს. სამეცნიერო დაწესებულებები 2 წლით ადრე აკეთებენ განაცხადს მთავარმომარაგებაში მატერიალურ ტექნიკურ მომარაგებაზე, თუმცა სრული გარანტია ამ განაცხადების დაკმაყოფილებაზე არ არის. ეს პირობები არ გამოადგება ერთი წლით შექმნილ დროებით სამეცნიერო კოლექტივებს. დროებით სამეცნიერო კოლექტივებისათვის ტექნიკის და მასალის გამოყოფა სამეცნიერო დაწესებულებებისაგან განსხვავებით უნდა ხდებოდეს. სამუშაოს გარკვეულ ეტაპზე დროებით კოლექტივებს 2-3 თვის ვადით მომუშავეების მოწვევის აუცილებლობა ექნებათ. მოკლე ვადით სპეციალისტებს იღებენ არა ხელშეგერულებით, არამედ შრომითი შეთანხმებით გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე. სამუშაო შრომითი შეთანხმებით ანაზღაურებული უნდა იყოს შტატგარეშე ფონდიდან. რადგან დროებითი კოლექტივები არ წარმოადგენენ მუდმივ ორგანიზაციას, ასეთ ფონდებს არ შეიცავენ. ამრიგად, დროებით კოლექტივებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ გამოიყენონ გარეშე სპეციალისტების მოწვევის უფლებები. ამასთან დაკავშირებით დამუშავებას მოითხოვენ ის დოკუმენტები, რომლებიც დროებით სამეცნიერო-ტექნიკური კოლექტივების საქმიანობის რეგლამენტს წარმოადგენენ.

И. М. РУБИНШТЕЙН, Е. Ш. ЖОРДАНИЯ

## РАЗВИТИЕ РЕГИОНАЛЬНЫХ ОРГАНИЗАЦИОННЫХ ФОРМ ИНТЕГРАЦИИ НАУКИ И ПРОИЗВОДСТВА В ГРУЗИНСКОЙ ССР В НОВЫХ УСЛОВИЯХ ХОЗЯЙСТВОВАНИЯ

Резюме

Проанализированы организационные формы связи науки с производством в Грузинской ССР.

Обоснованы и сформулированы предложения по развитию региональных организационных форм интеграции науки с производством в условиях перехода республики на самоуправление и самофинансирование.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ.

ლიდა ღუდუა, გორის ლავილაკა

კაპიტალური მშენებლობის მართვის სისტემისა და ეკონომიკური  
მიქსანიზმის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

სკკ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, რომ „კაპიტალური მშენებლობის ძირითადი ამოცანაა სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების შექმნა და დაჩქარებული განახლება, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი წარმოების განვითარებისა და სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის...“<sup>1</sup>. ამრიგად, კიდევ ერთხელ იქნა ხაზგასმული იმ დიდ როლზე, რომელიც კაპიტალური მშენებლობის წინაშე დგას. გარდა ამისა ყურადსაღებია ისიც, რომ კაპიტალურ მშენებლობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა შორის, მისი (კაპიტალური მშენებლობის) პროდუქციის მომხმარებლად გვევლინება ბსოლუტურად ყველა დარგი და თითქმის ყველა დარგის პროდუქცია გამოიყენება უშუალოდ სამშენებლო წარმოებაში. კაპიტალური მშენებლობის ეფექტურობის ამოღება დღენიადავ იდგა პარტიის და მთავრობის ყურადღების ცენტრში. განვიხილო წლების განმავლობაში აშენდა ათასობით მსხვილი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თანამედროვე საწარმოი, საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი და ა. შ. ბოლო წლებში საგრძნობლად განმტკიცდა სამშენებლო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყოველივე ამან საგრძნობლად აამაღლა კაპიტალური მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობა.

როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებები და სამუშაო ძალა მატერიალური წარმოების პროცესში მუდმივ მოძრაობაშია, დღის წესრიგში დგას საკითხი: რამდენად ეფექტურად არის გამოყენებული ყველა ის რესურსი (მატერიალური, ფინანსური და შრომითი) რომელიც ამ პროცესში ღებულობს მონაწილეობას. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი, ამის საფუძველზე შეიქმნა ერთიანი მობილური ცენტრი, რომლის ფუნქციას შეადგენს საქართველოში კაპიტალური მშენებლობის და მასზე ორგანულად დაკავშირებული უწყებების მართვა. ასეთი ნაბიჯი ჩვენ სრულიად გამართლებულად და დროულად მიგვაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ მართვის სისტემა ამ მხრივ უფრო რთულდება. მართვის პროცესის საბოლოო ეტაპს გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს და ე. ი. საჭირო იყო შექმნილიყო ისეთი ერთიანი ცენტრი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობას გაუწევდა საქართველოში კაპიტალური მშენებლობის განვითარებას და შეიმუშებდა იმ სტრატეგიულ მიმართულებას (პროგრამას), რომელიც კაპიტალური მშენებლობის ეფექტურობას გაზრდიდა. ამ კუთხით ადგილი აქვს ერთი შეხედვით პარადოქსულ სიტუაციას. სისტემა გართულდა მაგრამ ამასთან ერთად მისი მართვა უფრო მიზანდასახული გახდა.

<sup>1</sup> სკკ XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986 წ. გვ. 477.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ამჟამად საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტში მიმდინარეობს მართვის სტრუქტურის სრულყოფის ოპტიმალური სქემის დადგენა. ეს ყოველივე ძალზე დიდ სირთულესთანაა დაკავშირებული. ეს გამოწვეულია იმით, რომ, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი ჩამოყალიბდა მშენებლობის სამინისტროს ბაზაზე, თავისი ფუნქციონალური დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით, საჭირო გახდა გადასინჯულიყო მისი საკადრო პოლიტიკა, რაც თავის მხრივ ძალზე მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს და სხვა ფაქტორთა გათვალისწინებასთან ერთად ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებასაც მოითხოვს. ამ მიზნით ჩვენ გვაქვს ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც უშუალოდ მართვის სისტემის სრულყოფის ორგანიზაციულ საკითხებს ეხება. ამ საკითხის განხილვამდე საჭიროა გამოყენებული იყო ის მეთოდოლოგიური აპარატი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ყოველმხრივ გავაანალიზოთ და წარმოვიდგინოთ საკვლევი ობიექტი.

1985 წლის აპრილის პლენუმზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისადმი მიძღვნილ თათბირზე, რომელიც ა/წ 11 ივნისს შედგა, აშხ. მ. გორბაჩოვმა აღნიშნა, „საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ენერგიული ღონისძიებანი მართვის პრობლემების მთელი კომპლექსის მიხედვით...“ „ორგანიზატორული სტრუქტურის სრულყოფის საკითხები უნდა გადაწყდეს კომპლექსური მიდგომის საფუძველზე“. ამ გადაწყვეტილებების შექმნა, ჩვენ ვთვლით, რომ მართვის სისტემის სრულყოფის პრაქტიკულად განსახორციელებელი ღონისძიებების შემუშავება უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე საკვლევ აპარატს. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისას გამოყენებული იყო „სისტემატური“ ანალიზის მეთოდოლოგია. „სისტემატური ანალიზის“ თვალსაზრისით კი კაპიტალური მშენებლობა მიეკუთვნება „ძალზე რთულ დინამიკურ“ სისტემათა ჯგუფს. ე. ი. საკვლევი ობიექტი წარმოადგენს სისტემას, რომელშიც მკაცრი იერარქიული წყობის საფუძველზე გაერთიანებულია სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი მრავალი ელემენტი და რომელზედაც დიდ გავლენას ახდენს დროის ფაქტორი. ამრიგად, ყველა შესაბამისი ელემენტი უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს.

მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავებისას საჭიროა ზუსტად იყოს განსაზღვრული: საკვლევი ობიექტი, მისი გარემოცვის სფერო, კავშირები როგორც დარგთაშორის, ასევე შიდადარგობრივი მიზანი, რომლის განხორციელებასაც აპირებს დამპროექტებელი (დამკვიდრებელი).

საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი, ერთი მხრივ, განისაზღვრება მისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით (სტატუსით) მეორეს მხრივ კი — სპეციფიკური ტექნოლოგიური პროცესების მართვით. ჩვენს მიერ გამოსაკვლევი ობიექტი უნდა წარმოვიდგინოთ ერთიან კომპლექსში; საქართველოს სსრ სახელმწიფო სამშენებლო კომიტეტი, მართვის სისტემა-კომიტეტის სამმართველო აპარატი, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის იერარქიის გათვალისწინებით.

რთული სისტემების აბსოლუტურად ზუსტი ფორმალური აღწერის მოდელი ძალზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, ამიტომ ამ ჯგუფის სისტემების ფორმალურად აღწერისათვის სარგებლობენ აპროქსიმაციის მეთოდით.

ეს მდგომარეობა მკვეთრად ზრდის დამპროექტებლის (დამკვირვებლის) როლს, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული საბოლოო გადაწყვეტილების ოპტი-

მალური ვარიანტის შერჩევა, ამიტომ მართვის სისტემის სრულყოფა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შუქზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ღონისძიებათა შემუშავების დროს გათვალისწინებული იქნება ადამიანი, არა მარტო, როგორც „ერგონომიკული“ ფაქტორი, უშუალო მონაწილე საწარმოო პროცესშია, არამედ როგორც მართვის სრულყოფის აქტიური ელემენტი და თვით მართვის ობიექტი. ამ შემთხვევაში მართვის სისტემა წარმოგვიდგება, როგორც რთული ადამიანური-მანქანური სისტემა.

მართვის სისტემის სრულყოფის ყველა ღონისძიება, როგორც აღვნიშნეთ, უნდა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს, თუთ ამ ღონისძიებების შემუშავებაც კომპლექსური მიდგომის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ვინაიდან მართვის სისტემის სრულყოფა ერთჯერად პროცესს არ წარმოადგენს, საჭიროა ღონისძიებების შემუშავება გარკვეულ თანამიმდევრობას ექვემდებარებოდეს. „სისტემური ანალიზის“ თვალსაზრისით ამ ეტაპებიდან პირველი ეტაპი პრობლემების ანალიზია. ამ დროს სისტემის არსებული მიდგომარეობიდან გამომდინარე დგება პასუხი შემდეგ კითხვაზე:

რა უნდა გამოვიკვლიოთ (გავიკოთ),

რა უნდა შევქმნათ (დავაპროექტოთ);

რა თანამიმდევრობით უნდა შესრულდეს ჩასატარებელი სამუშაოები;

ამ მონაცემების საფუძველზე იგება პრობლემების „ხე“.

ამავე ეტაპის დროს დარგის ფუნქციონირების რეპროსპექტული ანალიზის საფუძველზე უნდა ჩატარდეს, აგრეთვე სისტემის დიაგნოზირება, რომელმაც უნდა გამოავლინოს დარგის ფუნქციონირების „ვიწრო“ ადგილები. მეორე ეტაპის დროს ხორციელდება კრიტიკიუმების და მიზნების ფორმირება ამ ეტაპზე მიზნების ფორმირება უნდა ხორციელდებოდეს ორი ძირითადი მიმართულებით: მიზანი, რომელიც გამომდინარეობს სახალხო-მეურნეობრივი ამოცანებიდან და მიზანი რომელიც თვით უშუალოდ დარგის ობიექტულ ფუნქციონირებას ეხება, ამ შემთხვევაშიც აუცილებლად უნდა აიგოს მიზნების „ხე“. მიზნების „ხიდან“ გამომდინარე უნდა დაზუსტდეს ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც მოგვცემენ სხვადასხვა მიზნების ურთიერთ შედარების საშუალებას. ამის საფუძველზე უნდა დადგინდეს კრიტიკიუმთა სისტემა. მესამე ეტაპია — ღონისძიებათა შერჩევა და დაჯგუფება მიზნების „ხის“ მეშვეობით. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მიზნების რანჟირება დაჯგუფების და მართვის ჰორიზონტის გათვალისწინებით. მეოთხე ეტაპში აღნიშნული უნდა იქნას კონკრეტული გეგმა-გრაფიკი. უნდა დაზუსტდეს იმ პირთა სია, რომლებიც პასუხს აგებენ შემუშავებული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვაზე. მათადაც, შეიძლება მოკლედ ჩამოვყალიბოთ ის ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მართვის სისტემის ორგანიზაციულ სტრუქტურის გაუმჯობესებას.

ინტენსიურ რელსზე გადაყვანის ერთ-ერთ წინა პირობას, როგორც აღვნიშნეთ, მართვის სისტემის სრულყოფა წარმოადგენს; პრობლემას ართულებს ისიც, რომ მართვის სისტემის სირთულე საინფორმაციო ნაკადების გათვალისწინებით იზრდება როგორც ხარისხობრივი ფუნქცია, მართვის სისტემის სრულყოფის კონკრეტული ეტაპების და სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს რთულ სამეცნიერო-ორგანიზაციულ ამოცანას და მისი გადაწყვეტა შეუძლებელია ერთჯერადი აქტის საფუძველზე. ამრიგად, საჭიროა ღონისძიებების შემუშავება შემდეგი თანამიმდევრობით წარმართოს:



— წარმოების განვითარების რეტროსპექტიული ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს დარგში არსებული პრობლემების დიაგნოსტიკა; ამავე მონაცემების საფუძველზე უნდა გამოვლინდეს დარგის ის პარამეტრები, რომლებიც სისტემის ეფექტურობას ახასიათებს;

— ჩვენი მოსაზრებით უნდა ჩატარდეს დარგის განვითარების გრძელვადიანი პროგნოზების ანალიზი, მათი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გათვალისწინებით.

— რაც მთავარია განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვალიფიცირებული კადრების მომზადების საკითხს, ვინაიდან საბოლოო ჯამში მათზეა დამოკიდებული შემუშავებული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების საკითხი.

— ვინაიდან კაპიტალური მშენებლობა მიეკუთვნება რთულ დინამიურ სისტემათა ჯგუფს, რთულდება მისი აღწერა ერთი დამკვირვებლის მიერ; ამისათვის საჭიროა შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც არა მარტო დასახევენ კონკრეტულ ღონისძიებებს არამედ უშუალოდ უხელმძღვანელებენ წინასაეტაპო პერიოდში მათ დანერგვას. ექსპერტთა ჯგუფის რაოდენობრივი შემადგენლობა უნდა დაადგინოს პირმა, რომელსაც დავალებული ექნება დარგის მართვის სისტემის სრულყოფის საკითხები, რა თქმა უნდა, ექსპერტთა ჯგუფის ხარისხობრივი მაჩვენებელი განისაზღვრება მასში შემავალი წამყვანი სპეციალისტების რაოდენობით, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა ამ ჯგუფში ჩართული იყოს სოციოლოგ-ფსიქოლოგიც. აუცილებლად მიგვაჩნია ისიც, რომ ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდეს მოცემული დარგის ადმინისტრაციული ორგანოს (მინისტრის ან პირველი მოადგილის) მიერ სპეციალური ბრძანების საფუძველზე, ასევე სპეციალური ბრძანების საფუძველზე უნდა დამტკიცდეს ჯგუფის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მიენიჭოს შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს იურიდიული სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ მართვის სისტემის სრულყოფა საჭიროებს კომპლექსურ მიზნობრივ-პროგრამულ მიდგომას და ამგვარად გადასაწყვეტ პრობლემათა და შესამუშავებელ ღონისძიებათა რიცხვი შეიძლება სჭარბობდეს ერთ ექსპერტთა ჯგუფის როგორც ფიზიკურ, ასევე თეორიულ-პრაქტიკულ შესაძლებლობებს, გარდა ამისა საჭიროა ჩამოყალიბდეს დარგის მართვის სისტემის სრულყოფის რამოდენიმე ძირითადი მიმართულება (ეს მიმართულებები რა თქმა უნდა საბოლოო ჯამში წარმოადგენენ დარგის განვითარების გლობალური მიზნის განშტოებებს) ამ შემთხვევაში უდაოა რომ სხვადასხვა სპეციალისტის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას რამოდენიმე ექსპერტთა ჯგუფი (მაგრამ არა უმეტეს სამისა), ჩვენი აზრით, ყოვლად გაუმართლებელია ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის მინიმალური რაოდენობის (არა უმეტეს შვიდისა) ხელოვნურად გაზრდა. მიგვაჩნია, რომ ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტამ ძირითადი როლი უნდა ითამაშოს მართვის სისტემის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავებისას.

ხუთწლიანი გეგმის დავალება 1986-88 წლებში ძირითადი ფონდების მოქმედებაში შესაყვანად შესრულდა 91,2%-ით, ხოლო კაპიტალური დაბანდებების მოცულობისა და სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება შესაბამისად 102,4 და 101,3%ით. ანალოგიური დავალებები წლიურ გეგმებში შესრულებულია 81,2; 94,0 და 91,8%-ით.

განსაზღვრული ძვრები შეიძინევა კაპიტალური დაბანდებების ეფექტუ-

რობის ამალღების, მათი კვლავწარმოებითი და ტექნოლოგიური სტრუქტურის, არაწარმოებითი სფეროს დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საქმეში 1988 წელს კაპიტალური დაბანდებების ლიმიტი ათვისებული 2298,7 მილიონი მანეთის მოცულობით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მიხედვით 1294,4 მილიონი მანეთი; რაც შესაბამისად 4,1 და 4,4%-ით მეტია ვიდრე 1987 წელს. შესრულებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, კლუბებისა და კულტურის სახლების მოქმედებაში შეყვანის წლიური გეგმები. თუ 1986 წელს სოციალ-კულტურული სფეროს ობიექტების ასაშენებლად გამოყოფილი კაპიტალური დაბანდებების ხედარი წილი იყო 26%, 1988 წლისათვის გაიზარდა 33%-მდე. ყოველივე ამასთან ერთად სამშენებლო კომპლექსში ადგილი აქვს სერიოზულ ჩამორჩენებსა და ნაკლოვანებებს. განსაკუთრებულ განგაშს იწვევს ის ფაქტი, რომ ძირითადად კაპიტალური დაბანდებების ლიმიტი არაა ათვისებული სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთ დარგებში, რომელთა განვითარებასაც XII ხუთწლიდში ენიჭება პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ახალი სამეურნეო მექანიზმის მოქმედების პირობებში დამტკიცებული წლიური გეგმების შეცვლა დაუშვებელია, ადრე, ფაქტურად წლიური გეგმები კორექტირების შემდეგ იცვლებოდა ძალზე მნიშვნელოვნად, დაახლოებით 30-35%-ის ფარგლებში, ხოლო კორექტირება გრძელდებოდა აპრილის ბოლომდე.

კაპიტალური დაბანდებების ლიმიტების წინგამსწრებმა გამოყენებამ, არარიტმულმა დაგეგმვამ და მშენებლობამ, ძირითადი ფონდების მოქმედებაში შეყვანის გეგმის შეუსრულებლობამ მიგვიყვანა დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის ზრდამდე, რომელმაც 1988 წლის ბოლოსათვის გეგმით გათვალისწინებული 82%-ის ნაცვლად შეადგინა 108%.

1988 წელს, ისევე როგორც 1987 წელს დაშვებულ იქნა შეუსაბამობა. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო ხელფასის ზრდის ტემპს.

არასასურველი მდგომარეობაა შექმნილი სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსური შედეგების მიხედვით. შეიმჩნევა ფაქტობრივი თვითღირებულების მეტობა გეგმასთან შედარებით, რის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ზემოთ დასახელებული პროპორციების დარღვევა.

კაპიტალურ მშენებლობაში არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად XII ხუთწლიდის შემდგომ წლებში ინვესტიციური პროცესის ყველა მონაწილემ უნდა აიღოს სწორი გზა დასახული დავალებების შესასრულებლად, მოახდინოს მატერიალური, ფიზიკური და შრომითი რესურსების კონცენტრაცია გასაშვებ ობიექტებზე, მკაცრად დაიცავს დამტკიცებული გეგმების სტრუქტურა.

მართალია ნელა, მაგრამ მაინც ხორციელდება ჩვენი რესპუბლიკის მოიჯარე ორგანიზაციების გადასვლა მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე, რომელიც გათვალისწინებულია 1986 წლის 14 აგვისტოს № 971 დადგენილებაში. სსრ კავშირის სახმშენის მონაცემებით ყველა ორგანიზაცია გადავიდა შემკვეთსა და მოიჯარეს შორის შეთანხმებულ სახელშეკრულებო ფასებზე.

მიუხედავად ამისა, ინვესტიციური პროცესის მონაწილეები სრულად არ არიან მობილიზებული მოახდინონ თავიანთ საქმიანობაში ძირეული გარდაქმნები. სუბიექტურ მიზეზებთან ერთად ადგილი აქვს ობიექტურ მიზეზსაც, სახელმწიფო გეგმაში არ არის დამტკიცებული ნორმალური აქტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ნორმატივების თავისდროულ დაყვანას სამშენებლო ორგანიზაციებამდე. ყველასათვის ნათელია, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივი სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის და მართვის ეკონომიკური მეთოდების დანერგვის საფუძველია. სტაბილური ნორმატივების გარეშე შეუძლებელია რეზერვების მოზიდვის პირობების შექმნა, ახალი სამეურნეო მექანიზმით გათვალისწინებული სტიმულირების მთელი ჯაჭვის შეკვრა. ყურადსაღებია, რომ რესპუბლიკაში საცხოვრებელმა ფონდმა 1988 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 91,2 მილიონი მ<sup>2</sup> საერთო (საცხოვრებელი) ფართობი, მათ შორის პირად საკუთრებაშია 63,7 მლნ მ<sup>2</sup> საერთო (საცხოვრებელი) ფონდში მოქალაქეთა პირად საკუთრებაში არსებული ფონდის ხვედრი წილი 69,8%. ქალაქის 1 მცხოვრებზე 1988 წლის 1 იანვრის მონაცემებით მოდის 15,7 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართი. ამ მაჩვენებლით რესპუბლიკამ გაუსწრო საშუალო საკავშირო მაჩვენებელს (14,6 მ<sup>2</sup>) და ქვეყანაში დგას მეოთხე ადგილზე, ბალტიისპირეთის რესპუბლიკის შემდეგ.

XII ხუთწლედში საბინაო მშენებლობა, როგორც ადრე, განხორციელდება უპირატესად სახელმწიფო რესურსების ხარჯზე. ამასთან ერთად ტარდება ღონისძიებები იმისათვის, რომ მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება მოხდეს მათ მიერ გამომუშავებული სახსრებით. XII ხუთწლედში გათვალისწინებულია საბინაო სამშენებლო კოოპერატივების, ინდივიდუალური მშენებლობის, სახელმწიფო კრედიტებისა და დაწესებულებების ფონდებით მშენებლობის სწრაფი განვითარება. სულ 1986-88წლებში ფაქტიურად შესრულებულია გეგმა საცხოვრებელი ფართის ამოქმედებისა ხუთწლიან გეგმასთან შედარებით 110,0, ხოლო გეგმასთან შედარებით 88,0%.

1989 წლის 1 კვარტლის მონაცემები აგრეთვე ადასტურებს იმას, რომ კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ ვერ არის დაძლეული ის პრობლემები, რომლებიც, მის ეფექტურ განვითარებას ხელს უშლიან. ა. მ. გენიჯარით შესასრულებელი სამუშაოები მხოლოდ 89,6%-ით (გეგმა 109290 ათ. მან ფაქტა 97940 ათ. მან) საკუთარი ძალებით შესასრულებელი კი 90,2%-ით შესრულდა (გეგმა. 97601 ათასი მან. ფაქტი 88092 ათ. მან).

იმისათვის რომ ამაღლდეს კაპიტალური მშენებლობის ეფექტურობა საჭიროა გატარდეს რადიკალური ღონისძიებანი. ამისათვის პირველ რიგში სამშენებლო წარმოებაში უნდა დაინერგოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლოესი მიღწევები, რაც თავის მხრივ დიდძალ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის ინვენსტიციური პოლიტიკა კაპიტალურ მშენებლობაში ამ კუთხით უნდა იქნეს წარმართული ე. ი. კაპიტალური მშენებლობის მართვის უმაღლესი ორგანოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად ჩვენ ზემოთ აღნიშნული საინვენსტიციო პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება გვესახება. ყოველივე ეს მეურნეობრივობის თანამედროვე ფორმებთან ერთად, ჩვენი აზრით, უკვე უახლოეს მომავალში სასურველ შედეგს გამოიღებს.

ამრიგად კაპიტალური მშენებლობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება ძალზე ბევრ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებას მოიხსნავს. ამასთან ერთად იგი დღევანდელი მოთხოვნაა.

როგორც აღვნიშნეთ, კაპიტალურ მშენებლობაში მომწიფებულია იმის პირობები, რომ ამაღლდეს მშენებლობის გეგმების შესრულებაზე კოლექტივისა და მისი ცალკეული წევრების პასუხისმგებლობა. ეს საშუალებას იძლე-

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
მშენებლობა



ვა უფრო ეფექტურად წარმართოს სამშენებლო წარმოება, დაკმაყოფილდეს კოლექტივის მოთხოვნილება თვითონ წარმართონ სამკურნალო-ფინანსური საქმიანობა. ასეთი მიდგომის სარეალიზაციოდ აუცილებელია სრული სამეურნეო ანგარიში, რომლის შინაარსიც ვლინდება მისი ყველა პრინციპის კომპლექსური გამოყენებით. ეს პრინციპებია: დანახარჯების თვითანაზღაურება და რენტაბელობა, სამშენებლო ორგანიზაციის სამეურნეო ოპერატიული დამოკიდებულება, ყველა რესურსის ეფექტურად გამოყენებისათვის მატერიალური და მორალური დაინტერესება და პასუხისმგებლობა, მოქარე ორგანიზაციების სამეურნეო ფინანსურ საქმიანობაზე მანეთით კონტროლის განხორციელება. თითოეული ამ პრინციპთაგანი დაკავშირებულია სხვა პრინციპებთან და მშენებლობაში მეურნეობრიობის მექანიზმის სისტემის ყველა ელემენტზე ახდენს მათზე პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას და განიცდის აგრეთვე მათ ზემოქმედებას.

თვითანაზღაურებისა და რენტაბელობის პრინციპი გულისხმობს რომ სამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა დაფარონ არა მარტო სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად გაწეული ყველა დანახარჯი, მათი რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით, არამედ თავიანთი სამეურნეო ფინანსური საქმიანობის შედეგად მიღონ გეგმიურ სიდიდეზე არანაკლები მოგება. თვითანაზღაურება სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვის ისეთი საშუალებაა, რომლის დროსაც დამკვეთისათვის შესრულებული და ჩაბარებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება მთლიანად იფარება მათი რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებით. თეთდაფინანსებაზე გადასვლა ნიშნავს სამშენებლო სამონტაჟო ორგანიზაციის ზარალიანი მუშაობის მიზეზების აღმოფხვრას. იგი სამეურნეო ანგარიშის დაბალი საფეხურია.

თვითანაზღაურების პირობებში სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის დანახარჯების ავანსირება შესაძლებელია როგორც საკუთარი გამოუმუშავებულ სახსრებით, ისე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბრუნავი სახსრების შესავსებად გამოყოფილი ცენტრალიზებული სახსრებით, კაპიტალური დაბანდებისათვის კი ბანკის კრედიტით. თვითანაზღაურების პირობებში სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციის ამორტიზაციის ანარიცხები გადადის ცენტრალიზებულ ფონდში, ხოლო მოგების თავისუფალი ნაშთი — ბიუჯეტში.

თვითდაფინანსება ნიშნავს, რომ სამშენებლო ორგანიზაციის კოლექტივი იღებს გადაწყვეტილებებს სოციალური და სხვა საკითხების გეგმების შესრულების გზების შესახებ. ასრულებს სახელმეკრულებო ვალდებულებებს და თვითონ გამოიმუშავებს სახსრებს წარმოების განვითარებისათვის, შრომის ანაზღაურებლად, პრემიებისა და სხვა დანახარჯების დასაფარავად. თვითდაფინანსება გულისხმობს აგრეთვე ანაზღაურების, მოხმარებისა და დაგროვების ფონდების შენარჩუნებას სამშენებლო ორგანიზაციის განკარგულებაში სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის განსახორციელებლად. თვითდაფინანსების პირობებში მიღებული მოგება (ნორმატივის მიჯღვით ბიუჯეტში გადარიცხვის გარდა), საბრუნავი სახსრები, ამორტიზაციის ფონდი მიემარგება სამშენებლო ორგანიზაციას.

ახალ სამეურნეო სიტუაციაზე, ახალ სამეურნეოანგარიშებრივ პროტიპებზე გადასვლა დაფუძნებულია სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირველ და მეორე მოდელზე, რომელიც რეკომენდებულია სახელმწიფო საწარმოთ (გაერთიანების) შესახებ სსრ კავშირის კანონით.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ორივე მოდელს უარყოფითი მომენტებიც ახასიათებს. მაგალითად, პირველ მოდელში მთელი მოგება (ასი პროცენტით) ნაწილდება ნორმატივების მიხედვით და კოლექტივი მოგების გეგმის შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტირებულია საწარმოს ფონდების დარიცხვით, ამასთან ვათვალისწინებელია ისიც; რომ აღნიშნულ მოდელში მთელი ძალით არ მოქმედებს ხელფასის და საწარმოს საქმიანობის საბოლოო შედეგის ურთიერთშეთანაწყობის პრინციპით. ამ ამოცანას უფრო ეფექტურად წყვეტს მეორე მოდელი, რომელშიც აუცილებელ პირობად ითვლება საწარმოს საბოლოო შედეგისა და კოლექტივის ანაზღაურების ურთიერთშერწყმა, მაგრამ მეორე მოდელიც არ არის სრულყოფილი.

ამონაგებიდან მატერიალური დანახარჯების ანაზღაურების შემდეგ მიღებული შემოსავლის დაბეგვრა ბიუჯეტში და ზემდგომ ორგანიზაციაში ნორმატიული შენატანებით მიზანშეწონილია, ვინაიდან აღნიშნული შემოსავალი არის საწარმოს წმინდა პროდუქტი, რომელშიც გაერთიანებულია არა მარტო საწარმოს მთლიანი მოგება, არამედ მისი პერსონალის ხელფასის ფონდიც, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეიძლება გაცილებით მეტი იყოს ვიდრე მოგება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987 წ) პლენუმმა მოითხოვა, რომ საწარმოთაგან ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროდ გადაიქცეს გამოყენებული რესურსებისათვის საწარმოთა გადასახადები.

ამრიგად, სამეურნეო გაძლოლის ახალ პირობებში მართვის სისტემის წინაშე დააყენა ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის გარეშე თანამედროვე სამეურნეო მექანიზმი ჯერ კიდევ რეალურად ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა უმეტეს შემთხვევაში სასურველსა და სინამდვილეს შორის კვლავ არსებობს ისეთი წინაღობები, რომელთა დაძლევის გარეშე შეუძლებელია რაიმე წარმატებაზე მსჯელობა. წარმოების მართვის პროცესების სრულყოფის ღონისძიებათა განხილვა ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმის გარეშე, მართვის პროცესის სრულყოფის არა თუ სრულ სურათს, არამედ ყოველგვარ პრაქტიკულად განუხორციელებად, ხელოვნურად ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებად წარმოგვიდგება.

Л. К. ДУНДУА, Б. Б. ЛАГВИЛАВА

## НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ И ЭКОНОМИЧЕСКОГО МЕХАНИЗМА В КАПИТАЛЬНОМ СТРОИТЕЛЬСТВЕ

Резюме

Рассматриваются вопросы совершенствования системы управления в капитальном строительстве. Характеризуются важнейшие требования, поставленные перед капитальным строительством при использовании аппарата «Системного анализа».

ჯერ კიდევ არსებული ნიპილისტური ფსიქოლოგია სწორედ რომ ძველი დამოკიდებულების ცნობიერი თუ არაცნობიერი გამოვლინებაა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან საკმაო ხანს მთელი ძველი კულტურა და სამეცნიერო ინტელიგენცია ნიპილისტური დამოკიდებულების ობიექტი იყო. მეცნიერება ბევრმა გამოაცხადა ბურჟუაზიული ჩაგვრის იარაღად, მეცნიერები კი-ყველაზე რეაქციულ კლასად, უფრო რეაქციულად ვიდრე თვით ბურჟუაზია<sup>1</sup>. სამართალიც ზედმეტად იქნა მიჩნეული სოციალიზმისათვის. შემდგომში ასეთ დამოკიდებულებას საფუძველი გამოეცალა, აღიარებული იქნა ფორმალურად ერთგვაროვანი ინსტიტუტების, დაწესებულებების ერთდროულად არსებობა, როგორც ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, ისე სოციალისტურში. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი აზრის განვითარება ისე წავიდა, იშვიათად თუ ვინმე ცდილობდა რაიმე დამაკავშირებელი ძაფი ენახა ძველსა და ახალ სამართალს შორის, პირიქით, ბევრი ცდილობდა, რაც შეიძლება დიდი უფსკრული აღმოეჩინა მათ შორის და ამით ელიარებინა მოქმედი სამართლის დამოუკიდებლობა.

<sup>1</sup> Алексеев П. В. Революция и научная интеллигенция. М.: Политиздат, 1987, с. 44—67.

ენახით დამოუკიდებლობა სამართლის ისეთი სისტემისადმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში კვებავდა ევროპის სახელმწიფოების სამართლებრივ ცნობიერებას. ასე მაგალითად, რომის კერძო სამართლის ერთ-ერთი სახელმძღვანელოს შესავალში ნათქვამია, რომ საბჭოთა იურისტისათვის რომის სამართალს არა აქვს რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი როგორც ექსპლათატორული საზოგადოების სამართლის სისტემა არ შეიცავს ისეთ მასალას, რომელთა ასე თუ ისე გამოყენება შეიძლებოდა სოციალისტური საზოგადოების სამოქალაქო სამართალში. მაგრამ, რადგანაც რომის სამართალი ისტორიულად ერთ-ერთი ფაქტორი იყო სამოქალაქო სამართლის განვითარებისა, ყოველმა განათლებულმა იურისტმა, რომელიც სწავლობს სამართლის ისტორიას უნდა იცოდეს იგი<sup>2</sup>. არსებითად იგივე აზრია ვატარებული ი. ნოვიცკის ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს წინასიტყვაობაში, თუმცა შედარებით ობიექტურადაა შეფასებული რომის სამართლის მნიშვნელობა ჩვენი სამართლისათვის. მასში ნათქვამია, რომ რომის სამართალს სამართლიანად უწოდებენ იურიდიული ტექნიკის ლაბორატორიას. მრავალი იურიდიული ტერმინი, რომელიც შექმნა რომის სამართალმა („ვენდიკაცია“, „ცესია“, „დელიქტი“, „კაზუსი“ და ა. შ.) გამოიყენება არამარტო სამართლებრივ ლიტერატურაში, არამედ კანონმდებლობაშიც. ექვსგარეშეა, რომ ეს იურიდიული ტერმინები ჩვენს სამართალში სხვა შინაარსით არიან მოცულნი, რადგანაც აწესრიგებენ სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოშობილ ურთიერთობებს<sup>3</sup>. ვფიქრობთ, როცა ლაპარაკია ძველი სამართლის (ამ შემთხვევაში რომის სამართალი) მნიშვნელობაზე ახლისათვის, აქ როდია ლაპარაკი ძველი სამართლებრივი მექანიზმის მომარჯვებაზე მოქმედი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. პრაქტიკული მნიშვნელობა მართლაც ასე არ უნდა გავიგოთ. რომის სამართალი ერთგვარი თეორიული წყაროა ჩვენი სამართლის მეცნიერებისათვის. თუ სამართლის ისტორიკოსისათვის იგი შემეცნების უშუალო საგანია, პოლიტიკური სამართლის მკვლევართათვის მოქმედი სამართლის შემეცნების ერთ-ერთი საშუალებაა.

„აღდგენა ისტორიისა, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ერის გამოცოცხლება, გამოზნუნება, აწმყოს გაგება და წარმართვა, მერმისის გამოკვლევა სიძნელისაგან“.

რაც უფრო კარგად გვეცოდინება ისტორია, რაც უფრო ღრმად შევიმეცნებთ საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ პროცესთა კომპლექსს, მით უფრო ვრცელი იქნება ჩვენი თვალთახედვის ჰორიზონტი. წარსულის დაიწყება — დაუფასებლობა მომავალს საფრთხეს უქმნის.

ფიზიკოსი ბოლტმანი ამბობდა: „არაფერი ისე პრაქტიკული არ არის, როგორც სწორი თეორია“. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: არაფერი ისე პრაქტიკული არ არის, როგორც სწორად ამოცნობილ-გაგებულ იტორიული განვითარების ტენდენცია.

რომის სამართლის თეორიული მნიშვნელობის ცნობით, მისი პრაქტიკული სარგებლიანობაცაა აღიარებული. ვფიქრობთ, ულოგიკოაა ქმნიდე სახელმძღვანელოს რომის კერძო სამართალში და თან ამტკიცებდე, რომ მას

<sup>2</sup> Римское частное право, под ред. И. Б. Новицкого и И. С. Перетерского, М., 1948, с. 3.

<sup>3</sup> Новицкий И. Б. Основы римского гражданского права, М., 1972, с. 4—5.

რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს საბჭოთა იურისტისათვის. ეტყობა, ეს ულოგიკოა სრულიად შეგნებული მოქმედებითაა გამოწვეული. მეცნიერულ აზროვნებაში დღემდე გაბატონებული მეთოდები სხვაგვარად ქცევის შესაძლებლობას გამორიცხავდნენ. რა ვქნათ რომ რომის სამართალი ექსპლოატატორული სახელმწიფოს სამართალია. მან ხომ უდიდესი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნების სამართლებრივ კულტურაზე. მოკვდა რომის სახელმწიფო, მაგრამ მისი სამართალი აგრძელებდა სიცოცხლეს. დასავლეთ ევროპაში რეცეპციის სახით იგი მეორედ დაიბადა. შეიძლება ცოტა გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ზოგიერთი რომანისტის აზრით, არ დარჩენილა მეცნიერების არცერთი დარგი (მცირე გამოჩაყლისების გარდა), რომელსაც არ განეცადოს რომაული იურისპრუდენციის გავლენა. არც ძველი საქართველო ყოფილა განზე ამ მეტად სასარგებლო მოვლენისაგან. ცნობილი მკვლევარი ვ. სოკოლსკი წერს, რომ საქართველოში გამოიყენებოდა ბერძნულ-რომაული სამართლის როგორც უძველესი, ისე გვიანდელი ხანის ძეგლები. ამით კი დასტურდება ის განუწყვეტელი გავლენა, რომელსაც ახდენდა ბერძნულ-რომაული სამართალი ქართულ სამართალზე. ამ მიმართებით საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რომელთაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში<sup>4</sup>. ასე რომ, რომაული იურისპრუდენცია ადვილად შეეთვისა, როგორც ევროპის სახელმწიფოთა, ისე ქართულ ეროვნულ სამართალს. ამის მიზეზი ეტყობა ისიც იყო, რომ რომაული სამართლებრივი იდეა თავისი სრულყოფილების გამო ახლოს იყო სამართლის საერთო იდეასთან. რაც უფრო მეტად პასუხობს პოზიტიური სამართალი სამართლის საერთო იდეას, მით უფრო სრულყოფილია იგი. ეს იდეა სხვადასხვა დონით გამოხატულია ყველა ხალხის სამართალში. სამართლის ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი გ. ნანაიშვილი წერდა, რომ სამართლის იდეა გამოხატულია პოზიტიური სამართლის ნორმაში. ძნელია მოიძებნოს პოზიტიური სამართლის ისეთი ნორმა, რომელიც მოკლებული იქნებოდა სამართლის იდეას<sup>5</sup>. ვფიქრობთ, სამართლის საერთო იდეისა და პოზიტიური სამართლის გარდა, უნდა არსებობდეს სამართლის კონკრეტული იდეა. თუ სამართლის საერთო იდეით სუნთქავს ყველა ქვეყნის სამართალი, კონკრეტული იდეა ამა თუ იმ ხალხთა ეროვნული სამართლის იდეაა, რომელიც უშუალო გამოხატულებას პოულობს პოზიტიურ სამართალში. თუ კონკრეტული იდეა გამოხატულებას პოულობს კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებში, საერთო იდეა პოზიტიური სამართლის საერთო სულის თვისებაა. კონკრეტულმა იდეამ შეიძლება უარყოს საერთო იდეა მხოლოდ ცალკეულ ნორმებში და არა საერთო არსებაში. ყველა ქვეყნის სამართალი რომ იყოს მხოლოდ საერთო იდეის გამოხატულება კონკრეტული იდეის გაუვლელად, მაშინ ერთნაირი უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყნის ხალხთა სამართალი. მართალია, ყველა მათგანის საფუძველთა-საფუძველი საერთო იდეაა. მოკლედ, საერთო იდეა თუ აკავშირებს ხალხთა სამართალს ერთიმეორესთან, კონკრეტული იდეა განასხვავებს მათ. საერთო იდეა არის წყარო კონკრეტული იდეისათვის. რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოე-

<sup>4</sup> Сокольский В. В. Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI, с. 92 (Жур. Мин. нар. пров., 1897, октябрь).

<sup>5</sup> Нанейшвили Г. А., Действительность права и опыт обоснования нормативных фактов, Тб., 1987, с.28.

ბა, მით უფრო მეტს ღებულობს იგი საერთო იდეისაგან და ამასთან, მით უფრო გამძლეა.

სამართალში გამოხატულებას პოულობს წარმოებით ურთიერთობათა, საზოგადოებრივ ურთიერთობათა საერთო, ზოგადი ტიპის ადგილობრივი, ეროვნული ვარიანტი, მასში აისახება მოცემულ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში განმტკიცებული ჩვეულებები, წინარესამართლებრივი ნორმების ნაშთები და სამართლებრივი ნორმები, კულტურის თავისებურებანი. სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ ქართულ ნაციონალურ სამართალს, როგორც დამოუკიდებელ სამართალს. ამრიგად, ყოვლად გაუმართლებელია ნიჰილიზმი ძველი სამართლისადმი, ჩვენი დამოკიდებულების მიუხედავად, იგი მაინც აგრძელებს სიცოცხლეს ახალში. ვფიქრობთ, გარდაქმნის თეორიამ არსებითად შეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ძველი ღირებულებებისადმი. მოქმედი სამართალი შეიმეცნება როგორც ჩვენი სამართლის საბჭოურ ისტორიასთან, ისე მეზობელი სოციალისტური თუ კაპიტალისტური ქვეყნების სამართლის მიღწევების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ნაბიჯია ქვეყნების აღდგენის გზაზე. ვფიქრობთ, ასეთივე დამოკიდებულება უნდა ჩამოყალიბდეს სამართლის ძველი ისტორიის მიმართაც. ძველისადმი პოზიტიური დამოკიდებულება სასარგებლოა უპირველეს ყოვლისა ეროვნული საბჭოურ სამართლის სრულყოფის თვალსაზრისით. საქმე ისაა, რომ სამართალ-შემოქმედების არსებული პრინციპები უნდა იძლეოდნენ ეროვნული კანონმდებლობის ჩამოყალიბების უფლებას, რაც ცხადია, გულისხმობს ხალხის ადათ-წესების, ჩვეულებების, ფსიქიკის, ტემპერამენტის მაქსიმალურ გათვალისწინებას. აქ კი საქმე გვაქვს ისეთ ღირებულებებთან, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში უყალიბდებოდა ჩვენს ხალხს და რომელთა ასახვის ნიმუშია ძველი სამართალი. მასში ჩვეულებითი და საერო სამართლის ნორმები ერთიან ორგანიზმს ქმნიან. ჩვეულებითი სამართალი რჩება როგორც უპირველესი წყარო საეროსათვის. თვით სახელწოდება საეროც ზოგჯერ წმინდა ფორმალური ვითარების ამსახველია. ნორმის ფაქტიური შინაარსი უცვლელია, იცვლება მისი შესრულების მექანიზმი. ჩვეულებითი სამართლის ნორმებისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი სრულიად ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. იგი ყველაზე ახლოს იყო ხალხის ზნეობასთან, მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობდა (სწორედ წმინდა ნაციონალური საწყისიც აქ უნდა მოიძებნოს).

მოკლედ, ზნეობა და სამართალი ერთად ცოცხლობენ ჩვეულებითი სამართლის სახით. შეფასების კრიტერიუმებიც ორგვარია: ზნეობრივი და სამართლებრივი. ეს მომენტი უაღრესად დადებით როლს თამაშობდა ურთიერთობათა მოწესრიგებაში, მაგრამ მაინც არ იყო მაღალი სამართლებრივი კულტურის გამოხატველი. ძნელდებოდა იმისი გარკვევა, თუ საიდან იწყებოდა სამართლებრივი ნორმის არსება და საიდან ზნეობრივისა. მოკლედ, სამართალი და ზნეობა მკაცრად ვერ გამოიჯნულა ერთიმეორისაგან. ცხადია, რაც უფრო გამიჯნულია მოვლენები ერთიმეორისაგან, ეს შედარებით მაღალი კულტურის მაჩვენებელიცაა.

ღღეს სამართალიც და ზნეობაც დამოუკიდებელი კატეგორიებია. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს დამოუკიდებლობა იმდენად შორს წავიდა, რომ მათ შორის უფსკრული გაჩნდა. თითქოს სამართლებრივის სამყარო ცალკეა და ზნეობრივის კიდევ ცალკე. ცხადია, არც ერთ უკიდურესობაში ჩავარდნა არაა გამართლე-



ბული, მაგრამ თუ მათი აცდენა შეუძლებელია, მაშინ ცხადია პირველი უკიდურესობა უფრო მეტად მოსათმენია და იმის გამოვლინების მეტ შესაძლებლობას ქმნის, რაც თვით ადამიანის არსებიდან, ბუნებიდან მომდინარეობს.

მეორე უკიდურესობამ ერთი მანკიც მოგვცა რამდენადაც დაშორდა სამართალი ზნეობას, იმდენად ფორმალური გახდა ის. ფაქტიური ურთიერთობის არსებობა ზშირად მხოლოდ ფორმალურ მომენტებზე გახდა დამოკიდებული. რევოლუციების ერთგვარ პრინციპად იქცა: არის ფორმა (მტკიცებულება), მაშ ურთიერთობაც ყოფილა, ფაქტიურად რომ არც არსებობდეს და პირიქით, არ არის ფორმა — მაშ ურთიერთობაც არ ყოფილა, თუნდაც რომ იგი ფაქტიურად არსებობდეს. სწორედ ეს პრობლემა აღელვებდა ნ. ხიზანაშვილს, როცა ის გასული საუკუნის სამართალზე წერდა: „ვისაც კი თვალი გადაუვლია ახალი ჩვენი სამართლისათვის, ადვილად გაიგებს, რომ დედა ბოძს, რომელზედაც ეს სამართალი დამყარებულია, შეადგენს სისტემა ფორმალური დამტკიცებისა, იურიდიული ფორმალიზმი. სამართალი გიბრძანებს, გინდა დაამტკიცო „საქმე“ — დაამტკიცე ფორმალურად: ამას ითხოვს სჯული და კანონი. ვალი გადაგიხდია — წარმოადგინე ბარათი. მამული შენია — მოიტანე დოკუმენტი, ფული მასესხე — მაჩვენე ვექსილი და სხვ. არ წარმოადგენ ბარათს, არ მოიტან დოკუმენტს, არ მაჩვენებ ვექსილს — „საქმესაც ვერ დაამტკიცებ. ჩვეულება, სინდისი, პატიოსანი სიტყვა, თითქმის საჭირონი აღარ არიან. ყველგან და ყოველთვის პირველ ადგილზე დგას ფორმალური დამტკიცება“<sup>6</sup>.

აღნიშნული ვითარების შედეგია ისიც, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავმალდით სამართალში არაქონებრივი ინტერესების ჯეროვანი შეფასებისა და დაცვის დონემდე. სამართლის ცალკეულ დარგებში არსებული რამდენიმე ნორმა, ცხადია, ვერ იძლევა ამ უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს. ერთადერთ ანგარიშსაწევ ინტერესად ჯერჯერობით ქონებრივი ინტერესები გამოვაცხადეთ. მაშასადამე, გარკვეულად მოხდა ღირებულებათა გადაფასება, ქონებრივი ინტერესების ფეტვიზმი. მოქმედი სამართლის სპეციალისტებს კარგად ახსოვთ რა ნელა ვითარდებოდა აზრი არაქონებრივი ინტერესების დაცვის სფეროში და საბოლოოდ ჯერაც არ გადაჭრილა პრობლემა. ერთ-ერთი ძველი მოტივი სწორედ ის იყო, რომ არაქონებრივი ზიანის ფულადი კომპენსაციის ინსტიტუტი, ძველი, ექსპლოატატორული სამართლის ინსტიტუტი იყო.

მაგრამ თვით ინსტიტუტი არაქონებრივი ინტერესების დაცვისა სასარგებლო რომაა ეს სრულიადაც არ უარიყოფა აღნიშნული ვითარებით. ძველ ქართულ სამართალში ეს მომენტები კარგად აისახა. ზნეობრივი კრიტერიუმებით ფასდება ადამიანის ესა თუ ის მოქმედება და ზშირად სასჯელის დასაბუთების საფუძველიცაა იგი. კანონმდებლის აქცენტი მიპყრობილია ისეთი მოვლენების მიმართ, რითაც სუნთქავს მთელი საზოგადოება. სისხლი — ქონებრივი საზღაური ზშირად არაქონებრივ ღირებულებათა ექვივალენტია. როცა დანაშაული საფრთხეს უქმნის საზოგადოების სასიცოცხლო ზნეობრივ პრინციპებს, მაშინ სამართალი სოციალური კიბის დაბალ საფეხურზე მყოფთა ინტერესებსაც იცავს. ვახტანგ VI სამართლის 42-ე მუხლის ძალით ყმას უფ-

6 ნ. ხიზანაშვილი, რჩეული იურიდიული ნაწერები, თბილისი, 1982, გვ. 21.

ლება ქონდა მოესპო სიცოცხლე თვით ბატონისაც, თუ იგი შეიჭრებოდა მის უფლებრივ სფეროში.

ცხადია, ჩვენი საზოგადოების (სოციალისტურის) სამართალი პრინციპულად განსხვავებულია ძველი სამართლისაგან. მაგრამ ეს სულაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ დავივიწყოთ ძველი და ვერავითარი პოზიტიური ვერ მოვნახოთ ძველისა და ახლის ურთიერთობაში. ძველი სამართალი ხომ ახალში უნდა აგრძელებდეს სიცოცხლეს.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს ძველი სამართლიდან. უსათუოდ საინტერესოა დღევანდლობის თვალსაზრისით დავის გადაჭრის ის იდეა, რომელიც ბაგრატ მეფის სიგელშია ოპიზარ და მიჯნაძორელ მამებისადმი (XI საუკუნე). ორი მონასტერი დავობს მამულზე. დავა წყდება ერთ-ერთის — მიჯნაძორელთა სასარგებლოდ, მაგრამ მეფე გულს არ წყვეტს ოპიზარელებს — „ოპიზარნიცა გუ/ლ საესე ვყვენ...“ და მისი სულის სალოცველად უტოვებს სოფლებს...“<sup>7</sup> (რათა ესე ორნივე წ(მი)დანი უდაბნონი მშუიღობით/და უშფოთველად იყუნენ...“<sup>7</sup> მოკლედ, დავის გადაჭრის იდეა მეტად ჰუმანურია. არაა საკმარისი ერთი მხარის გამართლება და მეორის დამარცხებულად გამოცხადება. დავა ისე უნდა გადაწყდეს, რომ იგი არ უნდა ვახდეს მომავალში კვლავ დავის საფუძველი. ამიტომ ის ვინც აგებს პროცესს, რაღაცით მაინც წახალისებულია (შეიძლება ამის მოტივი ძლიერი ვასალის რიდიც იყო). ან კიდევ ავიღოთ ვახტანგ VI სამართალი, რომელიც მოსამართლის პიროვნების ისეთ შესანიშნავ ფორმულას იძლევა, რომელიც არ შეიძლება საინტერესო არ იყოს მოქმედი იურდიული პრაქტიკისათვის. ამ ფორმულის მიხედვით კი მოსამართლე ესაა... „დიდად მხრეკელი, მიმხვდარი, გამომძიებელი, გონება-აუჩქარებელი, დაწინარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი და სხვისაც მკითხველი, თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორ ისინჯვის, მოწმის მამებარი უნდა იყოს, უქრთამო და ღმრთის მოშიში“<sup>8</sup>. ამრიგად, მოსამართლე წარმოდგენილია მისთვის აუცილებელი თვისებების (პროფესიული, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური) მთელი კომპლექსით; შეიძლება ერთი მეტად საინტერესო მაგალითის მოტანა ძველი საქართველოს ანდერძითი მემკვიდრეობიდან. ანდერძის ნამდვილობის შესანიშნავ ფორმულას იძლევა ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი (XIII ს-ის პირველი ნახევრის მიწურული). გრიგოლ სურამელი მოცემულ ანდერძში წერს: „ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა, ჩემისასა, მე გ(რი)გ(ო)ლ ქ(არ)თ(ლი)ს ე(რისთა)ესა ველითა ჩემითა, ძესა სულკურთხეულისა სულაქართლისა ე(რისთა)ვთა ე(რისთა)ვისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუნით დგომასა ძმისა ჩემისა ივ(ან)ესისა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა“<sup>9</sup>. ანდერძის ნამდვილობის პირობათა ამგვარი ფორმულის მომცემი სხვა მაგალითი უცნობია ფეოდალური საქართველოს სინამდვილისათვის. ვფიქრობთ,

<sup>7</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX—XIII სს, შეადგინეს და გამოასცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა თბილისი, 1982, გვ. 33.

<sup>8</sup> სამართალი ვახტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 177.

<sup>9</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX—XIII სს... გვ. 123.

მოქმედი სამართლის მკვლევართათვის არ უნდა იყოს უინტერესო გრიგოლ სურამელის ანდერძის აღნიშნული დებულება.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს გარდაქმნა სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის მიმართულებით. უპრიანია აქ მოვიგონოთ ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი ფურცელი: თამარ მეფის ეპოქის საქართველოში განხორციელდა სასჯელთა სისტემის მნიშვნელოვანი ჰუმანიზაცია. ამ დროს მეფის ხელისუფლება ძლიერია, მაგრამ არ მიმართავს სასტიკ სასჯელებს. თამარის ისტორიკოსის — „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანის“ ავტორის თქმით, დიდებულ მეფეს საქართველოში სიყვდილით დასჯა მოუსპია და ამასთან ერთად აგრეთვე სხეულებრივი სასჯელებიც ამოუყვეთია, რომლებიც ადამიანს ასახიჩრებდა და მის ღირსებას ამცირებდა.

იმავე ისტორიკოსის სიტყვით თამარის მეფობის ხანაში „...არ იყო მიმძლავრებული, არცა მტაცებელი, არცა მეკობრე და მპარავი. იტყოდა, ვითარმედ: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურციეთა! მოწყალებსათვის კმა გეყვან დადიანი ვარდან, გუზან, რომელი თულ-მრუმე ოდენ ყვეს, ბოცოსძე ბოცო და ამათნი მიმდგომნი, დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩანან შეწყალებულნი“-ო<sup>10</sup>.

თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვებიდან ჩანს, რომ მართალია, მეფემ სხეულებრივი სასჯელების გამოყენება აკრძალა, მაგრამ ერთი კაცისათვის მაინც შეუფარდებიათ თვალების ამოწვა.

უფრო ზუსტ ცნობებს ამის შესახებ ვნახულობთ თამარის მეორე ისტორიკოსთან. იგი ამბობს: „დღეთა შინა თამარისთა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა-ვინ დასჯილი, თვნიერ ძუელისა სჯულისა, რომელი ძეს ავაზაკთა ზედა ძელსა ზედა ჩამორჩობა. თუთ არცა — ვის ღირსსა სიყუდილისასა და არცა პატივისასა მიეცადა თანანადები, არც-ვინ ბრძანებითა მისითა ასომოკუთილ იქმნა, და არც სიბრძითა დაისაჯა, თვნიერ გუზან, ღირსი სიყუდილისა, რომელი ორგულებით განდგა და კოლას სადმე მათათა შინა ავაზაკობდა მალვით. ესე შეიპყრეს მთიბავთა თივისათა, და დავით მეფისა წინაშე მოიყვანეს. ხოლო მან იცოდა დიდი მოწყალება თამარისი, ამისთვის მისსა შეკითვამდის თულანი დასწუნა, ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთასა“<sup>11</sup>.

ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარი იყო „ვაზირთა მისთა და ლაშქართა განურისხებელი, ღირსათავს მშობლურთა წყალობათა მიმფენელი და [ეგზომ], რომელ მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახური არ გავატიჯებულა, თვნიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თულანი დასწუნეს“<sup>12</sup>.

როგორც ჩანს, თამარის მეფობის ხანაში, მძიმე სასჯელების გამოყენების შემთხვევები მინიმუმამდე იყო დაყვანილი. მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარის მეფობის ეპოქაში ამაღლდა ქვეშევდრომთა მორალური დონეც, რომ „ქარავანსა ვერვინ ძარცვდა ამერი და იმერი. ძუელი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკლვოდა; მპა-

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 2, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1959, გვ. 81.

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. 2, გვ. 141.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 368.

რავი, ავის — მოქმედი აღარ იყო. თუ ნაბარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მიიღის და დროშათა ქუეშე დადვის. ოესმან, მითულმან და ყიფჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა. და იყო მდიდრად ესე სამეფო, რომელ აზნაურის ყმანი მათთა პატრონთა სწორად იმოსებოდეს“<sup>13</sup>.

ისტორიკოსის ზოგიერთი გადაჭარბებაც რომ უკუვავადოთ, მაინც ცხადია, რომ სასჯელთა გაპუმანურებას ცული შედეგი არ მოუტანია. პირიქით, დანაშაულობა უფრო შემცირებულა და ქვეყანაც უფრო დაწყნარებულა. თანამედროვეობას არ აწყენს სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაციის საკითხში თამარის ეპოქის გამოცდილებაც გაითვალისწინოს. მემატინის ცნობით ლიპარიტის ჩამომავალთ — კახაბერის შეილებმა დიდი ბოროტება ჩაიდინეს: ხუთმა ძმამ მოკლა ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა. მიუხედავად იმისა, რომ შესამართლად მოკლეს მეფესთან დაახლოებული დიდი მოღვაწის ძმები, ქართული სამართლის რიგით ისინი სამშობლოდან გაძევებით დასაჯეს.

საინტერესოა, რომ თამარის მეფობის წლებში პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილით არ დაუსაჯიათ არც ერთი პირი, მათ შორის სახელმწიფო მშვიდობიანობის ისეთი დიდი მტრები, როგორც იყვნენ გიორგი რუსი და ვარდან დადიანი. მხოლოდ ერთადერთ გაავაზაყებულ პოლიტიკურ დამანაშავეს — გუზანს თამარის მეუღლის დავით სოსლანის ბრძანებით თვალები ამოსწვეს „ნაცვლად მრავალთა სისხლთა ქრისტიანეთა“. და თითქოს ამ ერთადერთი მძიმე სასჯელის გამოყენებისათვის შთამომავალთა წინაშე თამარს, როგორც მეფეს, უბრალოდ — აცხადებს სამი მემატინე. როგორც ჩანს, ფეოდალურ საქართველოში XI—XIII საუკუნეებში გაბატონებული იყო ეთიკური მონარქიზმის იდეა. მეფეს ხელი არ უნდა აეღო ეთიკურ ნორმებზე. ხალხმა თამარი გააღმერთა იმიტომაც, რომ ქართულ ზნეობრივ ნორმებს მტკიცედ იცავდა. თამარისათვის ადამიანის სიცოცხლე ზღუდვით ითვლებოდა პოლიტიკური მიზნების მიღწევის გზაზე.

ქართული სინამდვილის გავლენა ჩანს მხითარ გოშის (1213) სამართლის წიგნზეც, სადაც გატარებულია სასჯელთა შემსუბუქების ტენდენცია.

აქვე უნდა მოგვიგონოთ კარლ მარქსის შეგონება: „ისტორია და ისეთი მეცნიერება, როგორც არის სტატისტიკა, ამომწურავი სიცხადით ამტკიცებენ, რომ კანის დროიდან მოკიდებული ეს ქვეყანა სასჯელით ვერც ვერავის გამოუსწორებია და ვერც დაუშინებია“.

ქართული ყოფისთვის ფეოდალურ ხანაში დამახასიათებელი იყო ღვიინის ზომიერი სმა, რამაც გამოხატულება ჰპოვა ვახტან მეექვსის სამართლის წიგნის 93-ე მუხლში: ღვინოში რომ კაცმან ან კაცი მოკლას, ან დაჭრას, თუ რაც უყოს, მთელს სისხლზედ თუ არ მეტი, ნაკლები არ მიეცემინების, ამისათვის რომ, ის რომ იცის ღვინოში აჩქარებული არის, რატომ დალევს იმდენს, რომ ამგვარს საქმეს აქნევიანებს“.

სიმთვრალე არ იყო პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. პირიქით, მთვრალი უფრო მკაცრად ისჯებოდა. სხვა პოზიციებზე იდგა მეფე ალექსი მიხეილის ძის 1649 წლის სჯულდება („ულოყენიე“), სადაც სიმთვრალე ერთგვარად ამსუბუქებდა დამნაშავეს პასუხისმგებლობას.

ყოფით კულტურაში განსხვავებამ გავლენა მოახდინა სამართლებრივ ნორმებზედაც.

<sup>13</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი I... გვ. 369.



ყოველი ხალხის სამართალი — ეს იქნება ძველი თუ ახალი, ქმნის გარკვეულ სისტემას, რომელშიც ცალკეულ დარგებს საპატიო ადგილი უყავია. სამართლის ისტორიკოსის ამოცანაა მოუხაზოს ყველა დარგს თავისი ადგილი ამ სისტემაში. ჯერ-ჯერობით, ქართული სამართლის ერთიან ორგანიზმში (სისტემაში) მოხერხდა მხოლოდ მისი კლასიკური დარგების გამოკვეთა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული. ამასთან, საჭიროა კონკრეტული კანონზომიერებიდან ზოგადის გამოყვანა. მეცნიერული კვლევა კი ამჟამად ვერ იძლევა რამდენადმე სრულყოფილს წარმოდგენას საერთოდ სამართლის, როგორც მთელის განვითარების კანონზომიერებაზე. საჭიროა ვაიციეს პასუხი საერთოდ ქართული სამართლის არსებობაზე, რომელიც ერთიან ორგანიზმს ქმნის და თავის მხრივ კონკრეტული გამოვლინებაა უფრო ზოგადი მოვლენისა, როგორცაა ქართველი ხალხის კულტურა. ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია ხომ განუყოფელი ნაწილია ქართველოლოგიისა, რომელიც გარდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენათმეცნიერებისა, მოიცავს რიც სპეციალურ დისციპლინებს, რომელთა შემეცნების ობიექტია ჩვენი ეროვნული კულტურის ცალკეული დარგები. ამრიგად, ქართული სამართლის სულის შემეცნება შესაძლებელია ჩვენი ეროვნული კულტურის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. სრულყოფილება საგნის შემეცნებაში მარტო ამით არ მიიღწევა. უნდა გაირკვეს ის ურთიერთობანი, რაც არსებობდა საქართველოს მეზობელი თუ არამეზობელი ქვეყნების სამართლებრივ სისტემებთან, როგორი იყო ურთიერთგავლენები. ყოველივე ეს დაგვანახვებს სამართლის საერთო იდეის მდგომარეობას ქართულ ნაციონალურ სამართალში. მაშასადამე, ყოველივე აღნიშნული საშუალება უნდა იყოს სამართლის შემეცნების გზაზე და თვით არ უნდა იქცეს დამოუკიდებელი შემეცნების საგნად.

სამართლის ისტორიკოსებს უხდებათ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას იმ ურთიერთკავშირების ჩვენება, რაც ქართულ სამართალსა და სხვა ქვეყნების სამართალს შორის იყო. როგორც უკვე ვთქვით, განსაკუთრებით ცხოველყოფილი იყო ქართულ სამართალზე ბერძნულ-რომაული სამართლის გავლენა. მიუხედავად ამისა, არათუ ჩვენ, არამედ კავშირის მასშტაბითაც არ ვვყავს მეცნიერ-რომანისტები, რომლებიც გამოიკვლევდნენ რომაული (ასევე ბიზანტიური) სამართლის ინსტიტუტებს. იურიდიული ინსტიტუტები და კათედრები არ ამზადებენ სპეციალისტებს რომაულ და ბიზანტიურ სამართალში. ძირითადად ამ პრობლემით დაკავებული არიან ისტორიკოსები, (მაგ. ზ. უდალცოვა, ე. შტაერმანი, ე. ლიპზიცი და სხვები). მაშასადამე, საჭიროა იურისტ-მკვლევართა მომზადება ამ მიმართულებით, რამეთუ საკითხი ეხება სამართლის ისტორიას.

ჩვენ ჯერ-კიდევ არა გვაქვს იუსტინიანეს „კორპუსის“ სრული თარგმანი რუსულ ენაზე. ამ ძეგლის რევიზიუციამდელი გამოცემებიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა და თანაც გარკვეულად მოძველდნენ.

განსვენებულმა პროფესორმა, დიდმა რომანისტმა და ბრწყინვალე ლინგვისტმა ი. პერეტერსკიმ დაგვიტოვა თარგმანი იუსტინიანეს კოდიფიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილის — „დიგესტების“ ცალკეული ფრაგმენტებისა, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია. საჭიროა ვიზრუნოთ დიგესტების სრულ გამოცემაზე. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა ვითარებაში დღის სინათლეზე გამოვა თარგმანები იუსტინიანეს კოდექსის, დიგესტების, იუსტინიანეს



ნოველებს, ბასილიკის, ეპანაგოგის და რომაულ-ბიზანტიური სამართლის სხვა ძეგლებისა.

რაც შეეხება სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის სწავლებას, აქ ერთი ხარვეზი შეიმჩნევა. დღევანდელი სისტემა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის რუსულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოებისა არ შეესაბამება მისი ავტორის პრინციპულ საფუძველს. ეს ისტორია, კი ფაქტიურად არის სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. და არა სსრ კავშირის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. ამრიგად, სახელმძღვანელოს სახელწოდებაც უნდა შეიცვალოს სწორედ ამ ფაქტიური მდგომარეობის გამო. პრინციპული საფუძველი სახელმძღვანელოთა სისტემის ლოგიკური აგებისა არის სწორედ სსრ კავშირის ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. რამდენადაც ეს სახელმძღვანელო ამ ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ერთიან ორგანიზმს ქმნის, ამდენად ეს ისტორია არ შეიძლება იყოს რომელიმე ხალხის ისტორიის გახვიადება, ან არაჯეროვანი შეფასება. სახელმძღვანელოში სრულიად დაუსაბუთებლად მეტი ადგილი ეთმობა რუსეთის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, მაშინ როდესაც მსოფლიო კულტურის ისტორიაში სხვა ხალხებმა არანაყოლები (ზოგიერთებმა მეტი) როლი ითამაშეს.

თუ ჩვენ სასწავლო დისციპლინას დავუბრუნებთ თავის პირვანდელ და მართებულ სახელწოდებას — „საბჭოთა კავშირის ხალხთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას“, მაშინ იგულისხმება, რომ კავშირის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის ისტორიას თანაბარი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამასთან ერთად ლიტერატურასა და სახელმძღვანელოებში არაიშვიათად ისტორიული ფაქტები გაყალბებულია. იმ ხალხების მისამართითაც კი, რომელიც რუსეთის ცარიზმმა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო, მკითხველებს არწმუნებენ, რომ ისინი ნებაყოფლობით შეუერთდნენ რუსეთს. გამოდის, რომ რუსეთის იმპერია ხალხთა საპყრობილე კი არ იყო, არამედ ხალხთა თვისუფალი გაერთიანება.

ზოგიერთი ხალხის კულტურული ისტორია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება. ქართველი ხალხის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას შორსა აქვს ფესვები გადგმული. ვფიქრობთ, ყოველივე ეს უნდა აისახოს სახელმძღვანელოებში, რომელიც ერთგვარ „კოდიფიცირებულ“ მასალას იძლევა იმათთვის, ვინც მათზე იზრდება. ყველა ხალხის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას ჯეროვანი პატივი უნდა მიეგოს ამ სახელმძღვანელოებში.

რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების თავისებურებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რუსულ სამართალშიც. გვიანფოდალური ხანის რუსეთში ჩამოყალიბდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო და თანდათან განმტკიცდა სახელმწიფოს ბატონობა საზოგადოებაზე. ასე რომ ისტორიკოსი პ. მილიუკოვი „რუსეთის კულტურის ისტორიის ნარკვევებში“ პირდაპირ აღნიშნავდა, რომ რუსეთისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოს ბატონობა საზოგადოებაზე. სახელმწიფოს ინტერესების საზოგადოების ინტერესებზე მაღლა დაყენება და პიროვნების ინტერესების შელახვა „სახელმწიფო აუცილებლობის“ მოტივით დამახასიათებელი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიისათვის. და რა გასაკვირია, რომ რუსული ისტორიის ეს ტრადიცია

უგზოუკვლოდ არ გამჭრალა. სახელმწიფოს კულტის იდეა ცოცხალი ჩანს მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებშიც.

გაუმართლებელი რეპრესიები და კანონიერების დარღვევა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის პიროვნული სურვილით ან პიროვნული ნაკლით. მას საფუძვლად ედო ძველი რუსეთის ისტორიის მყარი ტრადიციები. სახელმწიფოს ინტერესებისთვის საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესთა შელახვის ნორმალურად ჩათვლა.

ახლა, გარდაქმნის ხანაში, როდესაც ადამიანებს ბრმად კი არა სწამთ, არამედ იკვლევენ, საჭიროა ძველი რუსეთის ისტორიის განვითარების ტენდენციების წარმოჩენა და ამ ისტორიის კონტინუიტეტის ჩვენება თანამედროვეობასთან. ძველი თაობების მემკვიდრეობა, როგორც ამბობენ, კოშმარად აწევთ, ცოცხლების ტვინს.

ივანე მრისხანის, პეტრე პირველის, ნიკოლოზ პირველის და რუსეთის იმპერიის სხვა მესვეურთა მემკვიდრეობა, სახელმწიფოს მართვის მათი მეთოდები, თუმცა საჭაროდ უარყოფილია, მაგრამ ერთია ოფიციალურად უარის თქმა და უარყოფა, მეორეა მემკვიდრეობის დაძლევა. ამ ნეგატიური მემკვიდრეობის ისტორიული მოხსნა მძიმე ამოცანაა, მაგრამ შეუძლებელი მაინც არ არის. მართვის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება ძველრუსული, ცარიზმის ხანის მემკვიდრეობაა და შეგნებულად თუ შეუგნებლად ეს ისტორიული „ტვირთი“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე ვერ მოგვიშორებია.

Г. Н. НАДАРЕИШВИЛИ, Б. И. ЗОИДЗЕ

## ИСТОРИЯ ПРАВА И СОВРЕМЕННОСТЬ

### Резюме

В работе рассматриваются вопросы истории права с точки зрения современности. Проведена мысль, что старое право должно приобрести новое значение для действующего права. Именно такой подход даст возможность познать современное грузинское право, как продукт исторического развития грузинской нации.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის განყოფილებამ.

О. В. МЕЛКАДЗЕ

## О ПРОБЛЕМЕ КООРДИНАЦИИ В УПРАВЛЕНИИ И КОНТРОЛЕ

Определенный XXVII съездом КПСС курс на ускорение первым долгом подразумевает перестройку хозяйственного механизма путем повышения действенности централизованного руководства экономикой, придания управлению современной организационной структуры, обеспечения оптимального сочетания отраслевого и территориального управления<sup>1</sup>.

Реализация данного тезиса на практике должна поднять всю нашу государственную и хозяйственную деятельность на качественно новую ступень. И в этой связи еще раз ярко высвечивается важность проработки проблемы координации, обеспечения единства и самостоятельности в деятельности каждой подсистемы в отдельности и всей системы управления.

Несмотря на то, что исследование понятия «координация» занимает существенное место в философской, юридической и экономической науках, следует признать, что все еще отсутствует единство взглядов в главном — определении самого понятия, а постольку и роли координации в управлении и контроле. Интересный анализ толкования понятия координации в научной литературе провели С. И. Айвазян, Ю. А. Веденеев, О. А. Супатаева, С. Д. Могилевский<sup>2</sup>, А. И. Недогреева<sup>4</sup>, А. И. Казанник<sup>5</sup>. Но если суммировать исследования отмеченных авторов, то перед нами предстанет картина, где представители разных наук в своем восприятии одного понятия формируют восемь различных точек зрения о значении координации в управленческом процессе. Правда, их взгляды имеют одну общую черту: в качестве основного определяющего момента берется целесообразное «взаимодействие», а то и просто «согласование» действий различных органов и их структурных формирований. Результатом такого подхода является неправомерное признание координационными всех отношений, в которых присутствует элемент согласования, в чем, как нам представляется, заложена главная причина принижения значения и роли координации в управлении.

<sup>1</sup> Материалы XXVII съезда КПСС. М., 1985, с. 33—34.

<sup>2</sup> Айвазян С. И., Веденеев Ю. А., Супатаева О. А. Правовые вопросы управления научными исследованиями. М., 1980, с. 37—50.

<sup>3</sup> Могилевский С. Д. Понятие координационной деятельности исполкомов местных Советов народных депутатов. Вестн. МГУ, сер. II, Право, 1984, № 3, с. 73—76.

<sup>4</sup> Недогреева А. И. Координационная деятельность городского Совета народных депутатов. Киев, 1983, с. 28—32.

<sup>5</sup> Казанник А. И. Координация в системе функции местных Советов. Томск, 1980, с. 25—26.

При довольно неравнозначном толковании понятия координации в научной литературе в последнее время утвердилось более общее и достоверное ее определение, когда под координацией понимается не только установление согласованности, но и целесообразного соотношения действий, объединенных общими интересами подсистем для достижения общих целей с наименьшими затратами усилий и средств. Но даже при этом исследование координации с различной нагрузкой содержания вызывает определенное различие ее роли и места в управлении.

Исходя из разнообразного толкования места и роли координации в управлении, ее суть представляется различной, отчего по-разному формируется само понятие координации. В данном случае налицо принципиально различный подход к объяснению сущности координации, которая должна определяться ее предметом, субъектом и местом в механизме государственного управления, поскольку координация присутствует в деятельности органов государственной власти и контроля, хозяйственных и общественных организаций, и их правовая природа различна в каждом отдельном случае. И получается, что понятие «координация» как в науке, так и в обиходе трактуется довольно произвольно, в широких границах, от элементарных контактов и до всех функций управления. Правда, в исследованиях ряда авторов в последние годы наблюдается тенденция к преодолению бытовавшего прежде неполноценного трактования понятия «координация». Но, как известно, преодоление утвердившихся в науке мнений и взглядов, расширение или уточнение пределов понятий — процесс довольно нелегкий. Поэтому считали бы нужным заострить внимание на более современной интерпретации самого понятия «координация».

По С. И. Ожегову, «координировать» — значит «согласовывать», устанавливать целесообразность соотношения между какими-нибудь действиями, явлениями<sup>6</sup>. Поэтому до последнего времени в правовых и других документах вместо «координации» в основном используются, если можно так сказать, ее неполноценные синонимы — «взаимосвязь», «взаимодействие», «сотрудничество». В общем, все эти понятия — из одной плоскости, но последние два, с первого взгляда, в содержательном плане представляют его в более наполненном измерении, а потому чаще употребляемы.

Правда, в последние годы понятие «координация» претерпело значительное углубление. И это справедливо. «Координация» и «координата» (а значит, и «координаты») — слова одного корня и не случайно во всех словарях они расположены рядом. По Ожегову, координаты — это величины, дающие сведения о местонахождении, местопребывании объекта по отношению к системе<sup>7</sup>. Но поскольку это так, то, по нашему представлению, координировать — значит определять место объекта в системе, исходя из общих задач и целей системы. Между прочим, слово «координация», происшедшее от латинского «со» — вместе и «ordinatio» — расположение в порядке, следует понимать не как простое согласование, как это чаще делается, а как сочетание, приведение в соответствие<sup>8</sup>, обеспечение

<sup>6</sup> Ожегов С. И. Словарь русского языка. М., 1972, с. 270; Словарь русского языка: в 4-х т. АН СССР. Ин-т русск. языка, под ред. А. П. Евгеньевой. М., Русский язык, т. 2. К-О, 1980, с. 99.

<sup>7</sup> Ожегов С. И. Указ. словарь, с. 270.

<sup>8</sup> См.: Там же; Словарь иностранных слов. М., 1973, с. 553.

целесообразного соотношения порядка взаимодействия элементов в системе.

В пользу данного суждения говорит и определение академика В. Г. Афанасьева, который считает, что «координация» — это определенная согласованность, пригнанность компонентов целого друг к другу, тот особый характер их взаимной зависимости, который обеспечивает динамическое равновесие системы<sup>9</sup> (подчеркнуто нами — О. М.). Отталкиваясь от данного определения, считали бы целесообразным присовокупить к ней мысль о том, что координация не может ограничиваться решением вопроса «кто чем должен заниматься». Скорее всего, она начинается с этого, так как координация — это объединение, интеграция действий, усилий объектов управления, преследующих общую цель<sup>10</sup>.

Правомерность подобной интерпретации понятия «координация» теперь не только подтверждается наукой и практикой, но и углубляется в понятийном, содержательном плане. Тем более, что в отдельных исследованиях четко прослеживается наполнение понятия «координация» с учетом отмеченных нами факторов. В этой связи наиболее последовательной следует признать точку зрения В. Г. Афанасьева, который, уточняя объем понятия координации, абсолютно правильно считает, что она выражает пространственную упорядоченность компонентов системы<sup>11</sup>. Рассматривая проблему системообразования посредством координации и субординации функций, автор отмечает, что первое — это согласование функции по горизонтали, а второе — по вертикали, подчиненность функции одних компонентов другим и всех без исключения компонентов системе в целом<sup>12</sup>. Но, поскольку координация, как параметр структуры системы, выступает в этой связи не только как согласование функций компонентов, но и как распределение функций, как согласование подцелей компонентов системы, подчинение этих подцелей целям системы, по нашему мнению, неполным следует признать подобную оценку объема понятия «координация». Ибо она содержит пространственную упорядоченность компонентов системы не только по горизонтали.

Координация компонентов одного уровня организации при распределении между ними функций, согласование их подцелей с общесистемными целями в значительной мере должны вызвать и субординационное упорядочение между компонентами различных уровней подсистем. Ведущий орган становится субъектом координации, нацеленной на единение системы. А целостная система, как отмечает В. Г. Афанасьев, активно воздействует на компоненты и преобразует их. В результате исходные элементы претерпевают заметные изменения; нередко теряются некоторые прежние свойства, присущие им до вхождения в целостную систему, другие же их свойства актуализируются, приобретают новое развитие. Количественным и качественным преобразованиям подвергаются также и сохраняемые ими свойства<sup>13</sup>. Касается это не только иерархических головных элементов подсистем, но и их низовых формирований.

К сожалению, еще не всегда правильно отграничивают понятия вертикальной координации от субординации. Происходит это по той

<sup>9</sup> Афанасьев В. Г. Научное управление обществом. М., 1973, с. 12.

<sup>10</sup> Айвазян С., Веденеев Ю. А., Сунатаева О. А. Указ. соч., с. 46.

<sup>11</sup> Афанасьев В. Г. Системность и общество. М., 1980, с. 115.

<sup>12</sup> Там же, с. 134.

<sup>13</sup> Там же, с. 26.



простой причине, что в централизованно управляемых системах одновременно присутствуют и отношения координации, и отношения субординации. При сокращении последних в результате возрастания в системе децентрализации создаются условия их подмены координационными отношениями уже неоподчиненных элементов. Упомянутое заблуждение допускается теми, кто не может уловить момент структурных изменений в системе управления и соответствующие качественные преобразования видов взаимоотношений элементов управляемой системы.

Вся экономика современных сложных систем координации основана на идее обеспечения горизонтальной координации по отношению к вертикальной специализации. По мере возникновения значительных перегрузок центральных органов управления, что объясняется постепенным ростом горизонтальной специализации, координация сдвигается к замене вертикального механизма горизонтальным. При этом происходит делегирование полномочий между сотрудничающими в одной управленческой упряжке ведомствами-партнерами, а ряд управленческих функций приобретает межведомственный характер. Их реализация основывается на координации деятельности министерств и ведомств. На первых порах эта координация носит функциональный характер, затем обеспечивается слиянием координируемых объектов или даже созданием дополнительных, укрупненных органов управления.

Возрастающие задачи координации, безусловно, требуют приведения в соответствие с ними и объемов понятия. Практика подтверждает мнение о том, что координация занимает промежуточное положение между планированием, с одной стороны, и регулированием, — с другой. В отличие от планирования, направленного на решение стратегических вопросов управления, координация относится к ее тактике и она как управленческая деятельность близка к оперативному регулированию.

Теперь, с учетом всего вышеотмеченного, можно заключить, что координация, как функция управления, представляет собой процесс синхронизирующего, интегрирующего регулирования, осуществляемого субъектом координации, который заставляет объекты координации действовать согласованно на реализацию общесистемных целей, способствует такому динамическому равновесию системы, когда каждая из координируемых подсистем обеспечивает решение своих локальных задач во взаимосвязи с общими.

\* \* \*

Уже много лет в философской и юридической науке продолжается дискуссия о существовании, особых свойствах и правовой природе координации вообще. Разногласия вызывают многие вопросы. И среди них изначальные: является ли координация синонимом взаимодействия и сотрудничества?

Как было отмечено — между ними немало общего. В принципе понятие координации во многом сопряжено с понятием взаимодействия, однако не настолько, чтобы их равнозначно истолковывать. Но поскольку нередко и абсолютно неправомерно между ними ставится знак равенства, от этого, на наш взгляд, возникают сложности в определении понятия координации и, как следствие в решении практических проблем, связанных с совершенствованием механизма координации деятельности органов управления. Главная причина этих трудностей, как нам представляется, состоит в недоста-

точном исследовании стоящей перед учеными важной задачи познания механизма развития управляемых систем на уровне современных достижений конкретных наук и практики.

Имея только общие представления о развитии, не разобравшись во взаимодействии как явлении, нельзя понять процесс развития систем, невозможно эффективно осуществлять<sup>14</sup>, обосновывать и развивать в этом направлении теоретическую, а тем более (без таковой базы) — практическую деятельность.

Здесь же следует отметить, что между понятиями координация и взаимодействие довольно четко выраженные различия оставлены почему-то без соответствующей оценки.

Детально рассматривая в своих работах природу и сущность взаимодействия, А. Н. Аверьянов высказал ряд важных соображений, проясняющих как содержание этого понятия, так и его соотношение с понятием координация. По мнению автора, любое взаимодействие имеет переменный характер, периоды смены противодействия и содействия<sup>15</sup>.

Здесь только последнее подразумевает сотрудничество взаимодействующих объектов. Но ведь взаимодействие предполагает также и противодействие. Добавим к этому и то, что взаимодействие, согласно А. Н. Аверьянову, может быть и нейтральным, когда между сторонами нет ни сотрудничества, ни противодействия<sup>16</sup>. С позиции рассматриваемой нами проблемы получается так, что само понятие взаимодействия содержит в себе немало негативных для управленческого процесса факторов. Тогда как координация в противовес взаимодействию представляет собой не однопорядковое согласование, а многопорядковое регулирование, нацеленное на более организованное постоянное и последовательное партнерство элементов системы. В этом видится главное преимущество координации перед взаимодействием. Состоит оно, следовательно, в большей целенаправленности действий объектов координации по отношению к общим целям самой системы.

С позиции системы управления сотрудничество — вид взаимодействия, достаточно сложная форма управленческой деятельности, обладающая относительной возможностью слияния усилий элементов, взаимодействующих в пределах их частных интересов, тогда как координация отличается возможностью интегрировать деятельность элементов для реализации общесистемных интересов.

И координация, и взаимодействие служат упорядочению взаимоотношений элементов, обеспечению целостности системы, но служат по-разному, а постольку разными бывают и результаты. Они зависят от количества элементов, композиции их взаимосвязей, составляющих различную конструкцию.

Обеспечение единства интересов и регламентация взаимоотношений между всеми участниками координации могут стать факторами значительного роста эффективности управления и контроля. Четкая координация, обеспечивающая системность, единство действий всех его элементов, составляют основу качественного выполнения стоящих перед системой задач. Наоборот, слабая связь интересов приводит прежде всего к неудовлетворительному

<sup>14</sup> Аверьянов А. Н. Системное познание мира: методологические проблемы. М., 1985, с. 168.

<sup>15</sup> Аверьянов А. Н. О природе взаимодействия. М., 1984, с. 9.

<sup>16</sup> Там же, с. 22.

использованию огромного потенциала возможностей взаимодействия. Для координации свойств разнообразный и широкий диапазон общих для объектов координации интересов, когда при простом взаимодействии он оказывается более узким. А это очень важно, чтобы оценочные показатели деятельности всех связанных общими задачами объектов были ориентированы на конечную цель управления, а не на локальные, может быть, и существенные для каждого из них, и совмещенные для некоторых малых групп.

